# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 31 მარტი 2004 №71 (2090) ფასი 50 თეთრი



# ჟირესმა ამოისუნთქა 2:2



პენალტის მომნადირებელი ალექსანდრე ამისულაშვილი და თომას ბროიხი




თუ პენალტი დაიდება, მე დავარტყამ — ნაკრების კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ ეს სიტყვები თანაგუნდელებს ადრეც უთხრა და სურვილი გუშინ აისრულა — ნაკრებში პირველი გოლი გაიტანა

## ზარი მანჰაიმში...

დავით სირაძე: გერმანიის ახალგაზრდული ნაკრები ძალიან კარგი გუნდია, თამაში უფრო მათი უპირატესობით მიდიოდა. ალენ ჟირესი კმაყოფილი დარჩა, რომ არ წავაგეთ. მატჩის შემდეგ ჟირესმა გვითხრა, შედეგით კმაყოფილი ვარ, თქვენ კი კარგი ბიჭები ხართო. ჟირესმა ისიც აღნიშნა, ჯერ შეთამაშება გვაკლია და მალე უფრო დავლაგდებითო



# ამხანაგური მატჩი

მანჰაიმი. 30 მარტი. 23.30 საათი. კარლ-ბენცშტადიონი. 2 680 მაყურებელი

## გერმანია ახალგ. 2:2 საქართველო

1:0 ჰანკე (11), 1:1 ალექსიძე (56), 2:1 ფიულნერი (67), 2:2 ნემსაძე (77პ)




შეცვლა: აშვეთია – ალექსიძე (46), ფიულნერი – პოდოლსკი (69), იაშვილი – ახალაია (73)

გაფრთხილება: მადლუნგი, სირაძე, კვირკველია

# ახალგაზრდა გერმანელებმა კარგად იმუშავეს

## ერთ ქართველზე ორასი მოდიოდა. ტრიბუნაზე

მანჰაიმში მატჩის დანიშვნა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. ჯერ ერთი, გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრები მომდევნო, უკვე ოფიციალურ შეხვედრას სწორედ ამ სტადიონზე გამართავს; მეორეც, შედარებით პატარა გერმანულ ქალაქში დიდი ინტერესი უნდა გამოეწვია ქვეყნის იმედის გუნდისა და გამოცდილი საქართველოს ნაკრების დაპირისპირებას.

მიუხედავად იმისა, რომ მანჰაიმში საკმაოდ თბილოდა, ტემპერატურა 10 გრადუსი იყო, მაყურებელთა რაოდენობა შტილიკეს გულს ვერ გაუხარებდა — 2000-ზე მეტი გულშემატკივარი. აქედან 100-მდე ქართველი იყო, რომლებიც თავიანთ ნაკრებს მხურვალედ ქომაგობდნენ.

შტილიკეს და მის ნაკრებს აქტივში ჩაეთვლებათ ის, რომ ფაქტობრივად მთელი შეხვედრის მანძილზე ფლობდნენ საგრძნობ უპირატესობას გამოცდილ მეტოქესთან. უკვე მე-11 წუთზე „შალკეს“ მაიკ ჰანკემ ქართველი მცველების შეუთანხმებელი თამაშით ისარგებლა და ანგარიში გახსნა.

მე-20 წუთზე ბროიხმაც გაიტანა, თუმცა მსაჯმა ნახევარმცველის მოქმედებაში წესების დარღვევა შენიშნა — სიტუაცია მეტად საკამათო იყო. 25-ე წუთზე იმავ ბროიხმა და ჰანკემ ქართველები, უფრო სწორად კი მათი დაცვა ვერ დასაჯეს დაუდევრობისთვის. 30-ე წუთზე „კიოლნის“ ფორვარდი მარკუს ფიულნერი ქართველთა საჯარიმოში შეიჭრა, გზად ორი მცველი ჩამოიტოვა, თუმცა ლომაიამ პატარა საოცრება ჩაიდინა და მას სამი მეტრიდან არ გაატანინა, შემდეგ კი ქართველთა მეკარემ დამატებულიც მოიგერია.

სტუმრებმა ტიმ ვიზე პირველად 31-ე წუთზე შეაწუხეს — ვიტალი დარასელიას შორეული და ძლიერი დარტყმა მეკარემ მოიგერია.

მეორე ტაიმი ქართველებმა შედარებით აქტიურად დაიწყეს და 56-ე წუთზე რატი ალექსიძემ ლამაზი თავურით გაათანაბრა.

შტილიკემ შეცვლას მიმართა და მისი გუნდი გონს მალე მოეგო. შეცვლაზე შესულმა პოდოლსკიმ ცრუმანევრით ქართველი მცველების ყურადღება მიიპყრო, მარკუს ფიულნერმა კი ოცი მეტრიდან ძლიერად დაარტყა და თავისიანები კვლავ დააწინაურა.

ამის შემდეგ უპირატესობას ისევ გერმანელები ფლობდნენ, თუმცა მოულოდნელად საბედისწერო შეცდომა დაუშვეს. სტანდარტული სიტუაციის გათამაშებისას ქართველი მცველები გერმანელთა საჯარიმოში ჩავიდნენ. ამისულაშვილი მადლუნგთან ერთად დაეცა. მსაჯმა უყოყმანოდ თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიუთითა და ნემსაძემ ვიზეს განძრევის შანსიც არ მისცა, ისე ძლიერად დაარტყა.

შტილიკეს ბიჭებს გამარჯვების გოლის გატანა 90-ე წუთზე შეეძლოთ — მიკ ჰანკეს დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

**დავით ერაძე**

*sport.de-სა და DSF-ის ვებგვერდების მიხედვით*



რატი ალექსიძე

### შოტლანდია

| მეორე დივიზიონი გადადებული მატჩები |
|---|
| სტენჰაუზმური 0:3 არბროთი |
| მორტონი 2:2 ალოა |
| ბერვიკი 1:2 დამბარტონი |

### ამხანაგური მატჩები

| |
|---|
| ისრაელი 2:1 ლიტვა |
| ავსტრალია 1:0 სამხ. აფრიკა |
| **ახალგაზრდულები (U-21)** |
| შვედეთი 2:2 ინგლისი |
| მალტა 2:0 ფინეთი |
| ჰოლანდია 1:1 საფრანგეთი |
| ესპანეთი 3:0 დანია |
| შოტლანდია 0:2 რუმინეთი |
| პორტუგალია 1:3 იტალია |
| სერბეთი 1:0 ნორვეგია |
| ბოსნია 1:1 ხორვატია |

### ინგლისი

| მეორე დივიზიონი გადადებული მატჩები |
|---|
| ბლეკპული 0:0 კოლჩესტერი |
| პორტ ვეილი 3:3 სუინდონი |
| **მესამე დივიზიონი გადადებული მატჩები** |
| მაკლსფილდი 0:0 ლინკოლნი |
| მენსფილდი 2:1 ტორკი |
| როჩდეილი 1:1 დონკასტერი |
| **კონფერენსლიგა გადადებული მატჩები** |
| ბარნეტი 0:1 შრიუსბერი |
| ჰალიფაქსი 1:4 ბარტონი |
| ლეიფი 1:2 გრეივსენდი |
| ტელფორდი 0:2 ჩესტერი |
| ალდერშოტი 2:0 სტივენეიჯი |

### გერმანია

| ჩრდილოეთ რეგიონალლიგა გადადებული მატჩები |
|---|
| პადერბორნი 2:0 კიოლნი (მ) |
| შალკე (მ) 1:1 ლაიპციგი |
| დორტმუნდი (მ) 1:1 მიუნსტერი |
| ესენი 5:1 ნოიმიუნსტერი |
| ვუპერტალი 0:1 ვატენშაიდი |
| **სამხრეთ რეგიონალლიგა გადადებული მატჩი** |
| მაინცი (მ) 4:0 ჰოფენჰაიმი |

### შვეიცარია

| ჩელენჯლიგა გადადებული მატჩები |
|---|
| შო დე ფონი 0:3 ბადენი |
| ბულე 0:1 კონკორდია |

# შუშაკი წაგებას თანაბრად ჰყოფს

## გიორგი შაშიაშვილი: კითხვებზე პასუხს თბილისი გასცემს

*პატარ-პატარა ჩავარდნები თბილისის „დინამოს“ ადრეც ჰქონია. ახლა „დინამო“ ჩემპიონატს ლიდერობს და თასის მეოთხედფინალშიცაა, თუმც ჩემპიონატის ბოლო ორი შეხვედრიდან ვერცერთი მოიგო — ფრე „ლოკომოტივთან“ და წაგება „სიონთან“.*

*ჩვენს შეკითხვებს „დინამოს“ კაპიტანი გიორგი შაშიაშვილის პასუხობს*

— რას დააბრალებდი „დინამოს“ უფერულ სტარტს ჩემპიონატის მეორე ეტაპზე?

— შარშანაც ცუდად დავიწყეთ მეორე ეტაპი, მაგრამ ჩემპიონები გავხდით. ახლა პირველ ადგილზე ვართ და ყველაფერი წინაა. მომდევნო ტურში, შაბათს, ძალიან სერიოზული, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მატჩი გველის — თუ „თბილისს“ მოვუგებთ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ახლა ლაპარაკი მიდის იმაზე, რომ ეს მატჩი „ეროვნულის“ ნაცვლად „თბილისის“ სტადიონზე ვითამაშოთ, სადაც კარგი მინდორია.

— თასის მერვედფინალში პირველლიგელ „სამგურალთან“ 1:3 რომ წააგეთ წყალტუბოში, ამაზე რას იტყოდი?

— პირველი მატჩი 6:0 მოვიგეთ, საპასუხო შეხვედრის პირველ ტაიმში კი 1:0 ვიგებდით და მერე უკვე ძალიან ფრთხილად ვთამაშობდით, რადგან ტრავმებს და ყვითელ ბარათებს ვერიდებოდით, თუმც მაინც არ უნდა წაგვეგო...

— როგორ ფიქრობ, „დინამოსთვის“ ჩემპიონობაში ხელის შეშლა მხოლოდ „თბილისს“ შეუძლია?

— ამ მხრივ „თბილისის“ გარდა „ვიტ ჯორჯიასაც“ გამოვყოფდი — ვფიქრობ, ვიტელები თანდათან გამოასწორებენ თამაშს. „თბილისი“ კი მეორე ეტაპისთვის ახალი ფეხბურთელებით გაძლიერდა და რაც უფრო მეტი კარგი გუნდი გამოჩნდება საქართველოს ჩემპიონატში, ეს „დინამოსთვისაც“ უკეთესი იქნება.

— „დინამოდან“ მეორე ეტაპის წინ ოთხი წამყვანი ფეხბურთელი წავიდა, ხოლო ლადო ბურდული ტრავმირებულია — გუნდისთვის ასეთი დანაკლისი ბევრს არაფერს ნიშნავს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში?

— დაცვაში ლევან სილაგაძე დავიმატეთ, ნახევარდაცვაში გიორგი ნემსაძე და რომერო, თავდასხმაშიც სოლიდურად ვართ — ლადო ახალაია, ლევან მელქაძე, სანდრო იაშვილი, მიხეილ ბობოხიძე... თუმც, ხუთი წამყვანი ფეხბურთელი რომ მოგვაკლდა, თავისას შვრება, მაგრამ ცოტა ხანში „დინამოს“ ეს აღარ დაეტყობა.

— „სიონთან“ წაგებული მატჩის შემდეგ ფეხბურთელებმა და ივო შუშაკმა არ ისაუბრეთ?

— საუბარი მართლაც იყო — მწვრთნელმა და ფეხბურთელებმა ერთმანეთი გავამხნევეთ. შუშაკმა თქვა, ეს წაგება სანახევროდ ჩემი ბრალია და სანახევროდ ფეხბურთელებისო.

— შუშაკს „დინამოსთან“ კონტრაქტი ამ სეზონის დამთავრების შემდეგ ეწურება და ხელშეკრულების გახანგრძლივების ინიციატივა ჯერ არ ჩანს — ეს უარყოფითად ხომ არ მოქმედებს გუნდზე?

— არა, გუნდში არანაირი არეულობა არ იგრძნობა.

— ეროვნულ ნაკრებში აღარ გიძახებენ, არადა, შენთვის არც ტრავმას შეუშლია ხელი და უწყვეტი სათამაშო პრაქტიკაც გაქვს — რაშია საქმე?

— „დინამოს“ იმ თამაშებში, რომლებსაც ჟირესი დაესწრო, თავი ნორმალურად წარმოვაჩინე, ხოლო ჟირესს სანაკრებო შემადგენლობა ფედერაციამ დაუდგინა. რაც შეეხება იმას, თუ მანამდე რატომ აღარ მიძახებდნენ ნაკრებში, უბრალოდ, ყველას თავისი აზრი აქვს — ვფიქრობ, უკუსვლა არ მქონია.

— „დინამოს“ ძირითადში ბევრი ისეთი ფეხბურთელი თამაშობს, ვინც მძაფრ კონკურენციას არ განიცდის, თუნდაც შენ — ეს უარყოფითად არ მოქმედებს დინამოელებზე?

— „დინამოში“ არიან ისეთი ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებსაც გამოცდილება აკლიათ და წამყვანი ფეხბურთელებისთვის დიდი კონკურენციის გაწევა უჭირთ, მაგრამ თუ „დინამოში“ ორ-სამ თამაშს ჩააგდებ, ამას არავინ გაპატიებს. თუმც, მაგალითისთვის ავიღოთ ალეკო გოგობერიშვილი — ის სულ თამაშობს ძირითადში და ისე ჩანს, რომ კონკურენტიც არ ჰყავს, მაგრამ ამ დროისთვის ნაკრების ზოგ ლეგიონერზე კარგად გამოიყურება.

**დავით თავართქილაძე**



2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

# ფრენის მასწავლებელი
## ბრიგელი ძველ-ახალი არწივებით

ალბანეთი

**დღეს** ტირანაში, ისლანდიასთან, ალბანელ „არწივებს“ იმაზე მეტი ქომაგი ეყოლებათ, ვიდრე ბოლო საკონტროლო მატჩში შვედეთთან. ამის მიზეზი სწორედ შვედებთან ერთი თვის წინ მოგებული თამაშია. მაშინ ჰანს-პეტერ ბრიგელის შეგირდებმა ანგარიშში დაწინაურებულ ფავორიტ მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდეს, ორი გოლი მიაყარეს და მატჩიც სათავისოდ მოატრიალეს. ალბანელი ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ ამ გამარჯვებამ იმედი გააჩინა და „არწივებს“ გულშემატკივარი მოუმრავლა.

ისლანდიის წინააღმდეგ ბრიგელმა ნაცად შემადგენლობას უხმო, თუმც ახალგაზრდებიც არ დავიწყნია და რამდენიმე მათგანს დღეს დებიუტს უმზადებს. აკი თქვა კიდეც ალბანელთა გერმანელმა, ხალხი მყავს გამოსაცდელი და მჯერა, იმედს გამიმართლებენ, მოსაგებად თავი არ უნდა დავზოგოთო.

ჩვენს მომავალ მეტოქეს მოგების მართლაც კარგი შანსი აქვს, რაკილა ისლანდია ორი წამყვანი ფეხბურთელის გარეშეა: ჩელსელ ეიდურ გუდიონსენს საზარდული აწუხებს, ჩარლტონელ ჰერმან ჰრეიდარსონს კი მყესი აქვს გაწყვეტილი.



**მეკარეები:** *ფოტო სტრაკოშა (კალითეა, საბერძნეთი), ერიონ ლიკა (დინამო), ესტრეფ ბილა (ატრომიტოსი, საბერძნეთი);*

**მცველები:** *ელვინ ბექირი (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), გერი ჩაჰა, ადრიან ალიაი (ორივე ობერჰაუზენი, გერმანია), ნევილ დედე (ტირანა), ჰენრი ნდრეუ (პარტიზანი);*

**ნახევარმცველები:** *კლოდიან დურო (რიზესპორი, თურქეთი), ლორიკ ჩანა (პსჟ, საფრანგეთი), ბესნიკ ჰასი (ანდერლეხტი, ბელგია), ედვინ მურატი (ირაკლისი, საბერძნეთი), ალტინ ჰაჯი (ცსკა, ბულგარეთი), ერვინ შკელა (აინტრახტი, გერმანია), არდიტ ბექირი (პარტიზანი), ალტინ ლალა (ჰანოვერი, გერმანია), დევის მუკა (ტირანა);*

**თავდამსხმელები:** *იგლი ტარე (ბოლონია, იტალია), ფლორიან მურტაი (ვერონა, იტალია), ედმონდ კაპლანი (ბესა), ალბან ბუში (ისთანბული, თურქეთი)*

**პაატა ქვანტალიანი**

# შეჭამეთ ყველა და ყველაფერი

**მიქელე იანკუ**
*სავანგებოდ სარბიელისთვის*
**ტირანიდან**



**თებერვალში** შვედეთის დამარცხების შემდეგ ნაკრების მწვრთნელ ჰანს-პეტერ ბრიგელს მარტში მეტოქედ უფრო ძლიერი გუნდი სურდა, მაგრამ იმის გამო, რომ ბობოლებს ერთი წლის კალენდარი წინასწარ აქვთ შედგენილი, ეს არ მოხერხდა, თანაც ფეხბურთის ფედერაციამ ისლანდიის გარდა ტირანაში ჩამოსვლაზე სხვა გუნდი ვერ დაითანხმა. არადა, ბრიგელს სწორედ შინ თამაში სურდა. ერთი იმიტომ, რომ შესარჩევ ციკლს სექტემბერში ტირანაში ბერძნებთან მატჩით ვიწყებთ, მეორე, აპრილში და აგვისტოში ალბანეთს ორი შეხვედრა ისედაც სტუმრად აქვს დაგეგმილი, ჯერ ესტონეთში, მერე — კვიპროსზე.

ფედერაცია კი ცდილობდა ნაკრებისთვის შვედებზე ძლიერი მეტოქის გამონახვას, მაგრამ ხელთ რომ ისლანდია შერჩა, არც ეს უნდა იყოს ცუდი ვარიანტი. ამასთან, შვედეთის დამარცხებამ ფედერაციასა და ქომაგს მადა გაუხსნა და ისლანდიასთან შეხვედრას დიდი ინტერესით ელიან.

ბრიგელმა საამატჩოდ უძლიერესი შემადგენლობა გამოიძახა. გუნდი ორშაბათს შეიკრიბა და სასტუმროში გამოიკეტა. ბოლო დროს ბრიგელი ასე ხშირად აკეთებს, ფეხბურთელებს მატჩამდე ქომაგს არიდებს. მწვრთნელმა უძლიერესი შემადგენლობა გამოიძახაო, კი ვთქვით, მაგრამ გაირკვა, რომ ტრავმის გამო ვერ ითამაშებს ფრანგული პსჟ-ს ნახევარმცველი ჩანა, თუმცა ის ტირანაში მაინც ჩამოვიდა, ბრიგელს შეხვდა და დაეთხოვა. მის ნაცვლად მწვრთნელს არავინ დაუმატებია, თქვა, ამ ეტაპზე ნაკრებს დებიუტანტები ისედაც არ აკლიაო, გამოცდილთაგან კი ისლანდიასთან სათამაშოდ ყველა ემზადება. მათ შორის ბოლონიელი იგლი ტარეც, რომელიც ახლა ჩინებულ ფორმაშია და ბრიგელს მისი დიდი იმედი აქვს.

— ტარე გუნდის ლიდერია, ის ამ შეკრებაზე ახალგაზრდებზე მონდომებულიც კია და პარტნიორებისთვის სამაგალითოა. საერთოდ, ძალიან მინდა, რომ ისლანდიასთან გუნდის თითოეულმა ფეხბურთელმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოიყენოს და მეტოქე დაამარცხოს. აქამდე, რატომღაც, ალბანეთის ნაკრები შინ ძლიერ მეტოქეებთან უკეთ თამაშობდა, შედარებით სუსტებთან კი ბოლომდე ვერ იხარჯებოდა. მსურს, ეს ნაკლი გამოვასწოროთ და მეტოქის განურჩევლად ძლიერად ვითამაშოთ — თქვა პრესკონფერენციაზე ჰანს-პეტერ ბრიგელმა.

მიუხედავად იმისა, რომ ისლანდიასთან მატჩი ტირანაში შვედეთთან შეხვედრაზე მეტ ინტერესს იწვევს, საეჭვოა, სტადიონი ბოლომდე შეივსოს, თუმც 10-12 ათასი ქომაგი „ქემალ სტაფაზე“ ალბათ შეგროვდება.

# ჩემი ბრინჯაო შენსას სჯობს...

თურქეთი

**დღეს** ზაგრებში ბოლო ორი მუნდიალის ბრინჯაოსნები ითამაშებენ. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ჩვენი ოსმალო მეტოქისთვის ხორვატებთან მატჩი გამორჩეულია, რადგან ნაკრებს სათამაშოდ 38 წლის უნალ კარამანი გაიყვანს.

თურქთა თავკაცს დამოუკიდებლად მუშაობის გამოცდილება არა აქვს. იგი შენოლ გიუნეშის თანაშემწე იყო და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ეროვნული გუნდი დროებით ანდო, თუმც ახალგაზრდა მწვრთნელის მომავალი მისსავე მარიფათსა და ნაკრების შედეგზეა დამოკიდებული.

შარშან შემოდგომაზე ევრო 2004-ის შესარჩევ ჯგუფში ინგლისთან შინ ვერმოგების შემდეგ ოსმალოები ლატვიას დანებდნენ და თებერვალში დანიასთანაც დამარცხდნენ.

აი, ასეთი ნაკრები დაუტოვა შენოლ გიუნეშმა ყოფილ შეგირდს, რომელსაც ოხრად საფიქრალი და საკეთებელი აქვს.

თურქთა დღევანდელი გუნდი საკმაოდ განსხვავებულია 2002 წლის მსოფლიოს ბრინჯაოსნებისგან. თუგაიმ სანაკრებო კარიერაზე უარი თქვა. „ბარსელონაში“ გადასული რუშთუ ძირითად შემადგენლობას გაუუცხოვდა, ალფაი ოზალანი ბექემთან ჩხუბის შემდეგ „ასტონ ვილადან“ გაუშვეს და მისი ასავალ-დასავალი უცნობია. ჰასან შაში კორეა-იაპონიის მერე „ჩაქრა“, ილჰან მანსიზი კი იაპონიის ჯეი-ლიგაში წავიდა.

შენოლ გიუნეშმა გუნდის გადახალისება შარშან ზაფხულში, კონფედერაციის თასზე სცადა, მაგრამ საბოლოოდ ძველებს ვერ შეელია, რამაც შეიწირა კიდეც.

წლეულს შენოლ ხოჯას სახეცვლილმა ნაკრებმა შინ დანიასთან რომ წააგო, იმ გუნდს კარამანმა ოთხი მოთამაშე დაამატა. ძველებიდან უმიტ ოზატს, ტაიფურს, ბიულენტ კორკმაზს და ჰაკან შუქურს უხმო. დებიუტი ექნება „კონიასპორის“ ფორვარდ ზაფერ ბირიოლას, რომელიც ჩემპიონატის ბომბარდირ პიერ ვან ჰოიდონკს ორი გოლით ჩამორჩება. უნალ კარამანმა ფეხბურთელის კარიერა „კონიასპორში“ დაიწყო და ერთი თავისიანის დაძახება გაბედა.

ზაფერ ბირიოლს ეროვნულ გუნდში მიწვევა, ცხადია, გაუხარდა: „ხორვატთა წინააღმდეგ თამაშის შანსს თუ მომცემენ, გოლის გატანას შევეცდები, რათა შემადგენლობაში ადგილი დავიმკვიდრო“.

ოსმალოს ტრავმირებული ემრე ბელოზოღლუ და ილდირაი ბაშთურქი ვერ დაეხმარებიან. ხორვატთა სტუმრებს მხოლოდ ოთხი ლეგიონერი ჰყავთ: რუშთუ, ნიჰათი, ფათიჰ სონკაია როდადან და ჰამიტ ალტინტოპი. დანარჩენები შინაური ჩემპიონატის მოთამაშეები არიან.

უნალ კარამანი: „მატჩის შემდეგ რა მელის, ამაზე არ ვფიქრობ. ახლა მთავარია, ღირსეულად ვითამაშოთ. შევეცდები, რომ გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელებისგან ძლიერი გუნდი შევკრა. შენოლ გიუნეშმა ისტორია შექმნა და მისი საქმე უნდა გავაგრძელოთ. ვფიქრობ, თურქეთის ნაკრებს თურქი მწვრთნელი ბევრად უკეთ გაუგებს, ვიდრე უცხოელი“.

**გაჟა ხუციშვილი**

უკრაინა



ოლეგ ლუჟნიმ ნაკრები დათმო

# ბლოხინს ლიბია აბია

**მაკედონიასთან** ამხანაგური მატჩის წინ ოლეგ ლუჟნიმ სანაკრებო კარიერა დაასრულა. „ვულვერჰემპტონის“ უკრაინელი მცველის გადაწყვეტილება დიდსულოვნად ჟღერს: „რაღა მინდა ნაკრებში. 36 წლის ვარ. რატომ უნდა შევუშალო პერსპექტიულ ახალგაზრდებს ხელი. ჩემი დრო წავიდა, ადგილს მათ ვუთმობ“.

ლუჟნის გარეშე დარჩენილი უკრაინელები კონჩა ზასპაში ემზადებოდნენ სამაკედონიოდ. ოლეგ ბლოხინმა შეკრებაზე ყველა სასურველი ფეხბურთელი შეყარა ანდრეი შევჩენკოს გარდა. „მილანის“ ვარსკვლავი სარია A-ს მორიგი ტურის გამო ვერ ჩავიდა სამშობლოში და გუშინ მილანიდან შეუერთდა სკოპიეში ჩასულ ნაკრებს. ბლოხინს არ დაუმალავს, რომ ძალიან უნდა მაკედონიელთა დამარცხება და ეს ბუნებრივიცაა, რაკილა ლიბიასთან ვერმოგებული მატჩის მერე უკრაინაში ეჭვით შეხედეს მის სანაკრებო პერსპექტივას.

**პაატა ქვანტალიანი**

# მორტენს მარტი კარგად ახსოვს

დანია

**ექსპერიმენტის** ჩატარება მინდა, ოღონდ, რა თქმა უნდა, ზომიერების ფარგლებში, რადგან ესპანეთი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში და გადამეტებული სიახლე შესაძლოა კატასტროფად დაგვიჯდეს — ასეთი რამ თქვა გუშინ ხიხონში ჩასულმა დანიის ნაკრების თავკაცმა მორტენ ოლსენმა.

ჩვენი მომავალი მეტოქე დიდი სიფრთხილით ეწვია ესპანეთს. ოლსენს პრესკონფერენციაზე მეტოქისქების გარდა, ფაქტობრივად, არაფერი უთქვამს. რაც შეეხება დაპირებულ ექსპერიმენტს, ვარაუდობენ, რომ ოლსენი განაპირა უკანახაზელებს იერიშში აგრესიულად ჩართვას დაავალებს, ასეთი ექსპერიმენტი კი, შესაძლოა, მართლაც კატასტროფად ექცეთ დანიელებს, რაკილა ინაკი საესის განკარგულებაში შესანიშნავ ფორმაში მყოფი ოთხი ფორვარდია. რაული, მორიენტესი, სალვა ბალესტა და ფერნანდო ტორესი — ამ ოთხეულიდან საესმა შესაძლოა, ერთბაშად სამი დააყენოს ძირითადში.

ასტურიაში დანიელებს ინტერელი თომას ჰელვეგი არ ეყოლებათ. ჰელვეგს მუხლის ტრავმა აქვს და მას სორენ კოლდინგი შეცვლის, რომელსაც ჩინებული სეზონი აქვს „ბოხუმში“ და ოთხწლიანი შესვენების შემდეგ უბრუნდება ნაკრებს.

დისკვალიფიკაციის გამო ევროპის ჩემპიონატზე იტალიასთან პირველ მატჩს გამოტოვებს დანიელ იენსენი. ამიტომ მორტენ ოლსენი მის პოზიციაზე დღეს გრავესენს გამოსცდის. მისი იმედი მაქვს, წესით არ უნდა გაუჭირდეს იენსენის სრულფასოვნად შეცვლაო, თქვა მწვრთნელმა.

ცოტა რამ სტატისტიკაზეც. ესპანეთ-დანიას შორის გამართული 13 მატჩიდან რვაჯერ პირინეელებმა მოიგეს და მხოლოდ ორში იმარჯვეს დანიელებმა. ამის გათვალისწინებით, ვიკინგებს ცოტა შანსი აქვთ უხერხულ მეტოქესთან, მაგრამ ოლსენს სტატისტიკის მაინც ეიმედება — 11 წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში დანიამ ესპანეთს 1:0 მოუგო და მაშინაც 31 მარტი იყო...

**პაატა ქვანტალიანი**



იონ დალ ტომასონი

**დანიის სავარაუდო შემადგენლობა**

*სორენსენი, ჰენრიკსენი, ლაურსენი, კროლდრუპი, ნ. იენსენი, კ. იენსენი, გრავესენი, როლ-ლარსენი, გრონკიაერი, ტომასონი, პ. მადსენი*

ეროვნული ბიბლიოთეკა





# მივდიოდი მე ნელა

## ასათიანმა ძუნძული დაიწყო

**მოსკოვის** „ლოკომოტივის“ ქართველმა ფეხბურთელმა მალხაზ ასათიანმა ტრავმის მერე გუშინწინ პირველად ივარჯიშა. მართალია, ვარჯიში მხოლოდ ძუნძულით შემოსაზღვრა, თუმც დღეების წინ ესეც ძნელი სავარაუდო იყო.

შეგახსენებთ, ასათიანი რუსული პრემიერლიგის მეორე ტურში, იაროსლავლის „შინიკთან“ მატჩში დაშავდა და ექიმებმა სამედიცინო გამოკვლევის მერე სულ მცირე, სამკვირიანი დასვენება გამოუწერეს. მკურნალობა კარგად მიდის და ექიმებისვე მეთვალყურეობით ჩვენებურმა ეს ორი დღეა „ლოკომოტივის“ ბაზაზე იძუნძულა.

— ტკივილი არ მიგრძვნია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ძალიან ნელ ტემპში ვირბინე. აჩქარება ჯერჯერობით აკრძალული მაქვს — გვითხრა გუშინ ნავარჯიშევს მალხაზ ასათიანმა.

რკინიგზელი დასტაქრები კმაყოფილები დარჩნენ მალხაზის პირველი ვარჯიშებით და დიდი იმედი აქვთ, რომ შუა აპრილში ჩვენებური სრულ მზადყოფნაში იქნება. ასათიანს კი ერთი სული აქვს, მოედანს დაუბრუნდეს, მაგრამ ისიც კარგად ესმის, რომ ახლა სისწრაფე შესაძლოა, სანანებელი გაუხდეს და ამიტომაც ექიმების რჩევებს ბოლომდე ითვალისწინებს.

**ქახა შალამბერიძე**



# ზურა აქედან ისწავლის

## მაკლიშის პროგნოზი: ხიზანიშვილი ფანტასტიკური იქნება

**შოტლანდიის** ჩემპიონატის ბოლო ტურში „რეინჯერსი“ შინ „სელტიკთან“ 1:2 დამარცხდა და „ჩაფრებმა“ მეორე გოლი ზურაბ ხიზანიშვილის შეცდომის მერე გაუშვეს. ხოლო აქედან 7 წუთში „რეინჯერსის“ დამრიგებელმა ალექს მაკლიშმა ხიზანიშვილი შეცვალა.

ამას წინათ კი გლაზგოურმა გაზეთმა „ივნინგთაიმზმა“ რეინჯერსულ ამბებს მცირე წერილი უძღვნა სათაურით: „ზურა აქედან ისწავლის“.

„ივნინგთაიმზი“ აღნიშნავს, რომ ხუთი თვი წინ, როცა „რეინჯერსი“ და „სელტიკი“ ხვდებოდნენ, მაშინაც ხიზანიშვილის გამო გავიდა გოლი „რეინჯერსის“ კარში — სელტიკელი ჯონ ჰართსონის დარტყმული ბურთი ქართველს მოხვდა და კარში რიკოშეტით გავიდა. გლაზგოური გაზეთი დასძენს, რომ ხიზანიშვილი ყველაფერ ამით დათრგუნულია და ბოლო „ოლდ ფორმის“ შემდეგ თანაგუნდელებს ბოდიშს უხდიდა, მაგრამ ზურას თავისი დამრიგებელი გამოექომაგა.

„ის იმ ეპიზოდში შეეცადა, ოსტატურად, გამოსაჩენად ეთამაშა, რაც მას ხშირად გაუკეთებია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჯერად ეს არ გამოუვიდა და ჩვენ მეორე გოლი გავუშვით. როცა შენ მაღალ დონეზე თამაშობ და ისეთ გუნდს ხვდები, როგორიც „სელტიკია“, ასეთი ილეთის გამო შეიძლება დაისაჯო. მე არ მსურს, რომ ზურა ხიზანიშვილი საკრიტიკოდ ამოვარჩიო. ის ბრწყინვალე სეზონს ატარებს „რეინჯერსში“, ხიზანიშვილი ახალგაზრდაა და რამდენიმე წელიწადში ფანტასტიკური ფეხბურთელი იქნება. მან უნდა ისწავლოს ამ შეცდომისგან და გუნდს უფრო ძლიერ ფეხბურთელად დაუბრუნდეს“ — განუცხადა „ივნინგთაიმზს“ ალექს მაკლიშმა.

**დავით თავართქილაძე**



*თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ ახალი მწვრთნელი მერაბ კოჭლაშვილია — საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში ქიპმოჭრილი კაცი, ვინც კლუბში უცხოდ სულაც არ ითვლება. იგი რამდენიმე დღის წინ გადამდგარი ზურაბ ბერიძის თანაშემწე იყო.*

*როცა ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს მწვრთნელი ეცვლება, თავისებური ხმაურიც ახლავს. თუმც ახლა ყველაფერი ჩუმად მოხდა — ერთი წავიდა, მეორე მოვიდა და ცხოვრებაც თითქმის ძველებურად გრძელდება.*

*გუნდის ახალ მწვრთნელს თანაშემწეც ახალი ჰყავს, ისიც ძველი ვეტერინარი, ვლადიმერ ხაჩიძე. ახლა კი თავად მერაბ კოჭლაშვილს მოვუსმინოთ, ვისაც გუშინ კლუბის ოფისში ვესტუმრეთ...*

## მერაბ კოჭლაშვილი:

# ბერიძეს ფსიქოლოგიურად გაუჭირდა

## შევჩენკომ და ინძაგიმ ვიტ ჯორჯიაში თამაში იუარეს

**— „ვიტ ჯორჯიას“ მთავარ მწვრთნელად დანიშვნა თქვენთვის მოულოდნელი ალბათ არ იყო...**

— მე უფრო ზურას გადადგომას არ ველოდი და ამის გათვალისწინებით, მთავარ მწვრთნელობაზე არც მიფიქრია. ეს ყველაფერი უცებ მოხდა.

**— როგორ ფიქრობთ, სწორად მოიქცა ზურაბ ბერიძე? ხომ არ ჯობდა, დარჩენილიყო?**

— ჩემგან რაიმეს თქმა სწორი არ იქნება. ზურამ თავისი გადასახედიდან გადადგა ეს ნაბიჯი და ალბათ ასე იყო საჭირო. მის მაგივრად მეტს ვერაფერს გეტყვით.

**— ერთი სიტყვით, დღეს „ვიტ ჯორჯიას“ თქვენ წვრთნით. ალბათ, საქმე იმით უფრო გაგიიოლდებათ, რომ გუნდს კარგად იცნობთ...**

— რა თქმა უნდა, ეს დამატებითი პლუსია. ზურამაც თავისი მწვრთნელობისას ძალიან დიდი სამუშაო ჩაატარა. კარგი პიროვნებაა და მართლა გულით მეწყინა, რომ გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა. ჩემი აზრით, ზურამ ფსიქოლოგიურად ვერ გაუძლო შექმნილ სიტუაციას. ის ხომ პირველად მუშაობდა მთავარ მწვრთნელად.

**— რატომ ვერ თამაშობს „ვიტ ჯორჯია“ ისე, როგორც მისგან ელიან?**

— „ვიტ ჯორჯია“ ყოველთვის ამბიციური და მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდი იყო. ასეა დღესაც. ვერ ვიტყვი, რომ გუნდი ცუდად თამაშობს. თასზე საჩხერის „ჩიხურასთან“ და ფოთის „კოლხეთთან“ საკმაოდ კარგად გამოვიყურებოდით, გოლებიც ბლომად გავიტანეთ. მართალია, ეს გუნდები „სიონთან“ და „თბილისთან“ შედარებით სუსტები არიან, მაგრამ... ეტყობა, ზუსტად ამან გაგვიწია ცუდი სამსახური. ფაქტია, ახლა გუნდს უჭირს და მალე უნდა გმოვფხიზლდეთ.

**— ბევრის აზრით, „ვიტ ჯორჯია“ გადამწვარია. შეკრებაზე როგორ მოემზადეთ?**

— არა მგონია, ეს გადატვირთვის ბრალი იყოს. შეკრება საკმაოდ ნორმალურად გავიარეთ.

**— ფაქტია, თავდასხმაში ძალიან გიჭირთ. ზედიზედ სამი მატჩია, გუნდს გოლი ვერ გააქვს. არადა, „ვიტ ჯორჯიასთვის“ გოლის გატანა ასეთი პრობლემური არასოდეს ყოფილა...**

— შევჩენკო და ინძაგი ჩვენთან არ ჩამოვლენ, თორემ სიამოვნებით მივიღებდი. ისე კი, სულაც არ ვფიქრობ, რომ თავდასხმაში გვიჭირს. ჩემი აზრით, საქართველოში ჩვენზე ძლიერი თავდამსხმელები არავის ჰყავს. თუნდაც იგივე „კოლხეთთან“ და „ჩიხურასთან“ სათასო მატჩები გავიხსენოთ. ოთხ თამაშში ათი გოლი გავიტანეთ, რაც ცუდი შედეგი ნამდვილად არაა.

**— ესე იგი, თქვენი აზრით გუნდს წრეებს შორის შესვენებისას გაძლიერება არ სჭირდებოდა...**

— საერთოდ, „ვიტ ჯორჯიას“ თავისი ხელწერა და საკმაოდ კარგი სელექცია აქვს. მწვრთნელ-ფეხბურთელებიდან დაწყებული, ხელმძღვანელობით დამთავრებული, ყველამ იცის თავისი საქმე და ეს მალე გამოჩნდება. მცირე ჩავარდნა გვაქვს, მაგრამ გამოუვალი სიტუაცია არ არის. ამიტომაც მივიღე ეს გამოწვევა და გუნდი ჩავიბარე. ბიჭების იმედი რომ არ მქონდეს, მწვრთნელობას არ დავთანხმდებოდი. ჩვენ ერთი ოჯახი ვართ და თუ მცირე გაუგებრობა ან რაიმე მსგავსი მოხდება, გარეთ არ უნდა გავიდეს. აქვე უნდა მოვაგვაროთ პრობლემები. ახლა მთავარია, სათამაშო დისციპლინა ავამაღლოთ, მერე გოლებიც იქნება და შედეგიც.

**— ერთი პრობლემაც: საშინაო სტადიონის მინდორი...**

— მცხეთის „არმაზი“ სეზონის განახლებამდე კარგ მდგომარეობაში იყო, მაგრამ მერე წვიმაში ზედიზედ ორი მატჩი რომ ჩატარდა, წახდა. დღესაც იქ ვივარჯიშეთ და ისევ ატალახდა. ამ პრობლემას „შევარდენზე“ თამაშით გადავჭრით. „არმაზი“ ისედაც ჩვენია და თუ საფარი გამოსწორდა, იქაც შეგვეძლება თამაში.

**— რას შეცვლით გუნდში?**

— დიდი ცვლილებები არ იქნება. ტაქტიკასა და განლაგებაზე საუბარს აქ არ მოვყვები, ეს უფრო წინასამატჩო სამუშაოა. გააჩნია, როგორი ფეხბურთელები გყავს, ან რომელ გუნდს ხვდები. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ისაა, რომ ვეცდები, გუნდის თამაში სხვანაირად წავიყვანო. ბიჭებსაც უფრო კონკრეტული დავალებები მიეცემათ. ისე, ახლა გუნდის ფსიქოლოგიური განწყობის გაუმჯობესებაზე უფრო ვფიქრობ. მთავარია, ბიჭებმა ყველაფერი დაივიწყონ, ძალები აღიდგინონ და ბრძოლა გავაგრძელოთ. დაკარგული არაფერია. ჩვენი მიზანი, სულ მცირე, უეფას თასზე გასვლაა. თუმცა ხელი არც ჩემპიონობაზე ჩაგვიქნევია.

**ქახა შალამბერიძე**

# საით, დათო?

**დავით ჩალაძემ** საბოლოოდ გადაწყვიტა საქართველოში დაბრუნება. ყაზანის „რუბინიდან“ აბარგებული თავდამსხმელი რა ხანია, უგუნდოდაა. მისი შემატების ყველაზე კარგი შანსი თბილისის „ლოკომოტივს“ აქვს, რომელმაც ორიოდ კვირის წინ გამოთქვა ჩალაძის გადაბირების სურვილი, თუმცა ეს ამბავი ბოლომდე არ გარკვეულა. გუშინ კი დათომ ეს გვითხრა:

— საქართველოში დავბრუნდები, მაგრამ რომელ გუნდში, ზუსტად ვერ გეტყვით. ორ-სამ დღეში მეცოდინება, საით წავალ.

**— საქართველოში ტრანსფერები უკვე დახურულია. ამის გამო, თუ რომელიმე ქართულ კლუბში გსურს თამაში, სულ მცირე, ერთწლიანი კონტრაქტი უნდა გააფორმო...**

— ეს მეც გავიგე. ვნახოთ, მოვილაპარაკებთ და ყველაფერი მერე გაირკვევა.

**— „ლოკომოტივის“ გარდა სხვა ვარიანტიც გაქვს?**

— კონკრეტული ჯერ არაფერია. ამ დღეებში გამოჩნდება ყველაფერი...

**ქახა შალამბერიძე**

# დინაბურგმა პერტია ამოიყვანა

**ნახტომიც** ასეთი უნდა! წინა სეზონში ლატვიის უმაღლესი ლიგიდან გავარდნილი „არმას“ ნახევარმცველი თამაზ პერტია ახალ ჩემპიონატს უეფას თასის საგზურისთვის მებრძოლ „დინაბურგში“ შეხვდება. „დინაბურგის“ თავკაცი რომან გრიგორჩუკი ქართველი ფეხბურთელის შემატებას ერთობ გაუხარებია და მასზე დიდ იმედსაც ამყარებს.

— პერტია შემტევი ნახევარმცველია და სწორედ მისნაირი კაცი გვჭირდებოდა. უკვე შევთანხმდით, რომ იგი გუნდში სულ მცირე, ზაფხულამდე დარჩება — ასეთი კომენტარი გააკეთა ახალწვეულზე გრიგორჩუკმა.

გუშინწინ „დინაბურგმა“ მოსამზადებელი ეტაპის ბოლო ამხანაგური მატჩი ჩაატარა და პერტიამაც პირველად მოირგო ახალი გუნდის მაისურა. ლატვიელთა მეტოქე ბელარუსის ახალგაზრდული ნაკრები იყო. ჩვენებურმა ძირითადში ითამაშა, მაგრამ გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა. ბელარუსებმა კორნილენკოს გოლით 1:0 მოიგეს.

საინტერესოა, რომ მეორე ტაიმში „დინაბურგში“ კიდევ ერთმა ქართველმა, ვინმე ნიკოლაძემ ითამაშა, ვის შესახებაც ბევრს ვერაფერს გეტყვით. ფაქტი ისაა, რომ ნიკოლაძე წინა სეზონში „დინაბურგში“ არ ირიცხებოდა, ანუ მან ამ გუნდს ახლახან მიაკითხა.

**ქახა შალამბერიძე**

# პირველი მატჩი

## თამაშამდე ნახევარი საათით ადრე





მია ახალაიას ფოტო


საქართველოს ეროვნული სტადიონი
გილოცავთ პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნას!

იარუსი
სექტორი
რიგი
ადგილი

ალექსანდრე ცისკარიშვილი
ტრიბუნა

ფასი 2 მან. 50 კაპ.

სერია

ვ000000

ამ ბილეთის მფლობელს უფლება აქვს დაესწროს
სეზონის გახსნის მატჩს 2000 წელს!

# ფეხბურთი გუშინ იყო

საქართველოს ყველაზე დიდი სტადიონი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე ერთადერთხელ იყო სავსე. ეს იყო თოთხმეტი წლის და ერთი დღის წინ და ეს იყო ამ ჩემპიონატის პირველი და ისტორიული მატჩი. იმხანად „იბერიად" მონათლულ თბილისის „დინამოს" ეცვა თეთრები, ფოთის „კოლხეთს" თეთრით განყობილი წითელი. მოიგო ფოთმა, ერთადერთი გოლით. გახსნის ცერემონიალი იყო ალტაცებული და იმედიანი, ხალხური სიმღერებით, პატრიარქის დალოცვით, ზვიად გამსახურდიას მისასალმებელი სიტყვით და, მგონი, მაყურებელს, რომლის სრული უმრავლესობაც თბილისელი იყო, დიდად არ სწყენია, რომ „დინამომ" წააგო მისი საუცხოო ფეხბურთელის ავტოგოლით.

მაშინ მთავარი იყო, რომ დაიწყო და შედგა პირველი მატჩი. ქართულმა ფეხბურთმა მოასწრო თვითონ საქართველოს და გამოეყო რუსეთს. ერთხანს იზოლაციაში იყო, მაგრამ მერე მაინც გააღწია და სამუდამოდ შეაბიჯა საერთაშორისო თამაშში. თვითონ მაყურებელი კი კარგახანს ვერ მიეჩვია ქართველების ერთმანეთის წინააღმდეგ თამაშს და რომელიმე გუნდის ქომაგობას. თუმცა, დროთა განმავლობაში ესეც ჩამოიქნა და გამოიკვეთა. ოღონდაც, იშვიათ შემთხვევათა გარდა, ხალხმა სტადიონის გზა დაივიწყა. პატარა ქალაქებში საქმე უკეთესად იყო, დიდ ქალაქებში კი ფეხბურთი თითქოს აორთქლდა.

საქართველოს ვინც უვარგოდა, საზღვარგარეთ მიდიოდა, საკლუბო თამაში კი ძალიან მძიმე და მოსაწყენი საცქერი შეიქნა. ქართული საკლუბო ფეხბურთი ძალიან ზოზინა, ძველმოდური და სამთქნარებელი გამოდგა. საერთო სურათი დღემდე ასეთია, სევდისმომგვრელი და ხელჩასაქნევი. მაგრამ ამაში ნამდვილად არ არის დამნაშავე ის დღე, როცა „დინამო" და „კოლხეთი" პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ქართული დროშის ქვეშ. ის იყო შინაური ქართული ფეხბურთის ყველაზე კარგი, ყველაზე ლაღი და ყველაზე იმედიანი დღე და თამაშიც ალბათ ყველაზე კარგი იყო ამ თხუთმეტ სეზონში. ამიტომ ამ დღის გახსენება იმ იმედის გახსენებაა, მაშინ რომ ჰქონდათ გულშემატკივრებს.

ქართული ფეხბურთი ხომ დიდი შინაური ბრძოლების შემდეგ გახდა დამოუკიდებელი.

ამინდიც კარგი იყო, გუშინდლისგან განსხვავებით.




# ხელისუფლება და სპორტი: რამდენ ტაიმს თამაშობენ პრეზიდენტები?







# ამხანაგური მატჩები

## საფრანგეთი - ჰოლანდია

სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ბართეზი, სანიოლი, ტურამი, დესაი, ლიზარაზუ, მაკელელე, დაკური, მიკუ, ჟიული, ანრი, ტრეზეგე | ვან დერ სარი, მელხიოტი, ჰეიტინგა, კოკუ, ზენდენი, სნეიდერი, ვან ბომელი, დავიდსი, ვან დერ ვაარტი, ვან ნისტელროი, მაკაი |

# ზიდანი არ არის, მაგრამ...

## ჰოლანდიელები სტამის ტრამვას ემებენ



იაპ სტამი

**როგორც ჰოლანდიას**, ასევე საფრანგეთს, დღეს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლება. კერძოდ, დიკ ადვოკაატის განკარგულებაში არ იქნებიან იაპ სტამი, კლარენს ზეედორფი და ფრანკ დე ბური. ისინი დაშავებულნი ყოფილან. არ არის გამორიცხული, შეხვედრა გამოტოვოს „პსვ ეინდჰოვენის" ზურგნატკენმა მოთამაშემ ვილფრედ ბოუმამ, თუმცა ასეც რომ მოხდეს, ჰოლანდიის ფეხბურთის ასოციაციის განცხადებით, მისი და ზემოთ ხსენებული ორი მცველის ნაცვლად სათადარიგოთა სკამზე ახალს არავის დასვამენ.

„ბოუმა მართლაც რომ გამოგვაკლდეს, ადვოკაატი მის ნაცვლად ახალს არავის მოიწვევს, რადგან მწვრთნელს 22 ფეხბურთელი ჰყავს შერჩეული და გამოსავლის მოფიქრება დარჩენილთა საფუძველზეც შეიძლება" — განმარტა ასოციაციის პრეს-მდივანმა.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან დე ბურს კოჭი სტკივა — ამ პრობლემამ მას კვირას, „რეინჯერსის" შემადგენლობაში, თვით „სელტიკის" წინააღმდეგაც კი არ მისცა თამაშის საშუალება. ხოლო რომის „ლაციოში" მოთამაშე სტამზე დაზუსტებით ზემოხსენებულ ფეხბურთის ასოციაციაშიც ვერაფერს ამბობენ.

„ვიცით, რომ დაშავებულია, თუმცა კონკრეტულად რა სტკივა და ეს ტრავმა რამდენად სერიოზულია, ვერაფერს მოგახსენებთ" — თქვა პრეს-მდივანმა.

რაც შეეხება კლარენს ზეედორფს, შეიძლება ითქვას, რომ მისი ტრავმა ყველაზე თვალსაჩინო გახლდათ — ამ კვირას „მილანი" „კიევოს" მთელი მსოფლიოს დასანახად ეთამაშა და შესაბამისად, ზეედორფიც შესვენებისას მთელი მსოფლიოს დასანახად შეცვალეს.

„ევროპის ჩემპიონატამდე ორი თვეღა რჩება, ანუ არის დრო, როდესაც ჩვენი წამყვან მოთამაშეთა ჯგუფი გვაჩვენებს, რამდენად კარგ





სტიდ მალბრანკი ზინედინ ზიდანის შემცვლელად შეიგულეს

ფორმაშია. საფრანგეთიც მეტისმეტად ძლიერი გუნდია. მასთან შეჯიბრება დაგვანახებს ამ წუთას რისი მაქნისნი ვართ" — ასე შეაფასა მოახლოებული შეხვედრის მნიშვნელობა დიკ ადვოკაატმა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დღეს წამყვან ფეხბურთელთა ნაკლებობას მხოლოდ „ნარინჯისფერთა" ბანაკი არ განიცდის, ფრანგებს არც მეტი, არც ნაკლები, თვით ზინედიან ზიდანი აკლიათ. მადრიდის „რეალის" გამთამაშებელმა კვირას, „სევილიასთან" 5:1 გამარჯვების შეხვედრაში საზარდული გაიჭიმა და შუა კვირაში დასვენება სჭირდება.

არ იქნებიან ლონდონის „არსენალის" ფეხბურთელები, რობერ პირესი, რომელსაც აქილევსის მყესი ტკივა და კოჭდაზიანებული პატრიკ ვიეირა. „მარსელის" სტივ მარლეს კი ბარძაყის პრობლემა აქვს.

ფრანგთა მწვრთნელმა ჟაკ სანტინიმ ვიეირას შემცვლელად ბენუა პედრეტი დაიგულა, ხოლო პირესის მაგივრად სიდნეი გოვუს თამაშს აპირებს. გარდა ამისა, მარლეს ნაცვლად ნაკრებში გამოძახებულია „ლივერპულის" ნახევარმცველი ბრუნო შეირუ, ხოლო ზიდანს (ბოდიში გამოთქმისთვის და) შეცვლის „ფულემის" მოთამაშე სტიდ მალბრანკი.

**პაპუნა ქედია**

## პორტუგალია - იტალია

სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| რიკარდუ, პ. ფერეირა, ჟორჟე ანდრადე, ფ. კოუტუ, რუი ჟორჟე, ფიგუ, კოშტინია, პეტიტი, რუი კოშტა, სიმაო, პაულეტა | ბუფონი, პანუჩი, ფერარი, ადანი, პანკარო, გატუზო, პირლო, კამორანეზი, ტოტი, ვიერი, დი ვაიო |

# პრეზენტაცია რეპეტიციამდე

## ტრაპატონი რომ ლიპის ხნის იყო...

**იტალიის** ნაკრებისთვის ევრო 2004-ის წინ პორტუგალიასთან, ანუ მომავალი შეჯიბრების მასპინძელთან თამაში, ბუნებრივია, დიდად სასარგებლო საქმეა, მაგრამ მწვრთნელს, ჯოვანი ტრაპატონის სამწუხაროდ, „სკუადრა აძურას" გვარიანად დაუგრძელდა დაშავებულთა სია. კერძოდ, დონ ტრაპის განკარგულებაში არ არიან ფრანჩესკო ტოლდო, ალესანდრო ნესტა, ფაბიო კანავარო, ჯანლუკა ძამბროტა, ნიკოლა ლეგროტალიე, ალესანდრო დელ პიერო, ფილიპო ინძაგი და ანტონიო კასანო.

გუშინდელ „სარბიელში" მოგახსენეთ, რომ იტალიელთა მთავარი მეკარის, ჯანლუიჯი ბუფონის შემცვლელად ამ შეხვედრაში გამოძახებულია 23 წლის რომაელი კარის მცველი ივან პელიცოლი, ხოლო დაცვაში, სავარაუდოდ, ითამაშებენ კრისტიან პანუჩი, მატეო ფერარი, დანიელე ადანი, ჯუზეპე პანკარო და ჯუზეპე ფავალი, რომელმაც ნაკრებში ბოლოს 1998 წელს, ესპანეთთან 2:2 დასრულებულ შეხვედრაში ითამაშა.

ბუნებრივია, პორტუგალიელებთან სათამაშოდ ტრაპატონიმ გამოიძახა ჩინებულ ფორმაში მყოფი მილანელი ანდრეა პირლოც. მის გარდა ვიხილავთ სიმონე პეროტას, მაურო კამორანეზის და სტეფანო ფიორეს. თავის გამოჩენის შანსი პირლოს თანაგუნდელ ჯენარო გატუზოსაც მიეცემა, ხოლო წინ, თავდამსხმაში, დელ პიეროსა და კასანოს არყოფნაში, ტრაპატონიმ „იუვენტუსის" წყვილი, მარკო დი ვაიო და ფაბრიციო მიკოლი გამოიძახა, თუმცა საეჭვოა, ისინი სასტარტოში ვიხილოთ, ფრანჩესკო ტოტი და კრისტიან ვიერი კი თადარიგში.

„ამწუთას გადაწყვეტილი არ მაქვს ნახევარდაცვის შუაში ვათამაშებ თუ არა „მილანის" წყვილს, გატუზოსა და პირლოს. უფრო სწორად, ისინი შესაძლოა, ერთდროულად არ ვათამაშო, თორემ მოედანზე ერთსაც რომ ვიხილავთ და მეორესაც, ფაქტია" — თქვა ტრაპატონიმ.

შემდეგ ტრაპატონის ჰკითხეს, რამდენად ირღვევა მისი გეგმები ტრავმირებულთა ასეთი დიდი რაოდენობის გამო.

„არა, განსაკუთრებით არ განვიცდი — განმარტა ტაქტიკოსმა —ჩვენ, უბრალოდ, ყველას ვაკვირდებით და ვსწავლობთ, ხოლო სამედიცინო ჯგუფი სრული დატვირთვით მუშაობს".

ალსანიშნავია, რომ „სკუადრა აძურამ" მოაწყო იმ ფორმის პრეზენტაციაც, რომლითაც იგი პორტუგალიის სტადიონებზე ითამაშებს. რამდენადაც ამბობენ, ძველთან ერთადერთი განსხვავება ის გახლავთ, რომ სამფეროვანი ემბლემა ამჯერად მკერდის შუაშია გამოსახული.

ბარემ აქვე აღვნიშნოთ იტალიის ნაკრებთან დაკავშირებული კიდევ ორი ამბავიც. ორივეს, თქვენი ნებართვით, ტრაპატონის ციტატით მოგახსენებთ:

„პაოლო მალდინის შევხვდი და ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით ველაპარაკე. ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით" — ეს გახლავთ პირველი ციტატა.

და მეორე: „ჯერჯერობით იმაზე, ევროპის ჩემპიონატის შემდგეგ დავრჩები თუ არა ნაკრების სათავეში, არ ვსაუბრობ და ამ თემის განხილვა არ მსურს, თუმცა რაკი ინტერესი ამ საკითხისადმი დიდია, გეტყვით, რომ ჩემზე რომ იყოს, დღესვე გავაფორმებდი ახალ ხელშეკრულებას. სამწუხაროდ, ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული. რაც შეეხება იმას, თითქოს ჩემი თანამდებობა „იუვენტუსის" მწვრთნელს მარჩელო ლიპის უნდა, ამაზე ასე ვიტყოდი: მის ასაკში მე ვამბობდი, რომ ნაკრებამდე ჯერ ბევრი



ჯოვანი ტრაპატონი

წელიწადი მქონდა დარჩენილი. სხვა საქმეა თუ მას ძალიან უნდა..."

ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდში კი ამასობაში ერთადერთ თავდამსხმელად ისევ პაულეტა მოგვევლინება, ხოლო ნუნუ გომეში და ელდერ პოსტიგა იტალიელთა ერთი შეხედვით, დაცვაშესუსტებული კარის დაბომბვას მხოლოდ შეცვლაზე შესულნი თუ შეეცდებიან.

„იტალიელებისთვის გოლის გატანა განსაკუთრებით ძნელია, ამბობს გომეში — მათი მთავარი მიზანი ხომ გოლის არგაშვებაა და ამ საქმეში ძალიან გაწაფულები არიან. მათ შეუძლიათ მეტოქეს პასები ჩაუჭრან და მტკიცე მეურვეობა დაუწესონ".

გომეში, როგორც ამბობენ, ევროპის ჩემპიონატზე უეჭველად ითამაშებს, აი, პოსტიგას საქმე კი ჯერ გასარკვევია.

„მართალი რომ გითხრათ, გამოძახებამ ცოტა გამაკვირვა — ალიარა ფეხბურთელმა — ბუნებრივია, ყველაფერი მწვრთნელის გადასაწყვეტია, მაგრამ მე ვარჯიშებზე თავს არ დავზოგავ და თუ მათამაშებენ, გოლების გატანას შევეცდები".

**პაპუნა ქედია**



იპოვეთ ერთი განსხვავება

# ამხანაგური მატჩები

## გერმანია - ბელგია

### სავარაუდო შემადგენლობები

ლემანი, ფრიდრიხი, ვიორნსი, ნოვოტნი, ლამი, შნაიდერი, ფრინგსი, ჰამანი, ბალაკი, ფრაიერი, კურანი

ერპოელი, დეფლანდრე, კომპანი, სიმონსი, დეშახტი, მ. მპენზა, კლემანი, ბასეჯიო, დაემსი, პიერონი, ბუფელი

## ლემანის ლანძღვამ გასჭრა

### ფიოლერი გერმანიას თოფით დაიცავს



იენს ლემანი

**თითქმის** წელიწადი გავიდა, გერმანიის ნაკრებს შინ ფრე არ უთამაშია. ბოლო ექვს საშინაო შეხვედრაში მასპინძლებმა ოთხი მოიგეს, ორჯერ კი წააგეს. შარშან სექტემბერში იტალიასთან (0:1), დეკემბერში კი საფრანგეთთან (0:3) დამარცხდნენ.

ბუნდესნაკრებმა წლეულს ერთადერთი ამხანაგური მატჩი ზაგრებში ხორვატიასთან გამართა. იმ შეხვედრაში სურდოშეყრილმა მიხაელ ბალაკმა ვერ ითამაშა, ხოლო სტუმრებმა 2:1 იმარჯვეს.

ზაგრებელ ოლივერ კანი მხოლოდ ერთხელ შეცდა და, მიუხედავად ამისა, მას შემდეგ დაიწყო იენს ლემანმა მისი დაცინვა, არსენალელი იმასაც ამტკიცებდა, დღეს საუკეთესო გერმანელი მეკარე მე ვარო და რუდი ფიოლერმა ბუნდესნაკრების კარში ადგილი უნდა მანდობო.

რუდი ფიოლერმა შემრიგებლობა იკისრა და ლონდონში ჩავიდა, რათა ლემანსითვის ენა დაემოკლებინა.

ეს ამბავი ჩაცხრა, მაგრამ ფიოლერმა დღეს კარში იენს ლემანის დაყენება გადაწყვიტა და „მეთოფემ" უნდა დაამტკიცოს, რომ კანზე იშვიათად ცდება.

ბუნდესნაკრების თავკაცმა მედიასთან საუბარში მიხაელ ბალაკს საკმაოდ ბევრი დრო დაუთმო. მისი ნათქვამიდან ჩვენ რამდენიმე წინადადებას მოგაწვდით: „ზინედინ ზიდანი შესაძლოა, მსოფლიოში საუკეთესოა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ბალაკი არანაკლებ ეფექტურია. ის სეზონის ბოლოს ფორმაში შედის და ერთიორად ძლიერდება. მოედანზე ყველაფერი შეუძლია, ჩვენ მხოლოდ მისი ნიჭის გამოყენება გვმართებს. ევროპის ჩემპიონატისთვის გუნდი ბალაკზე უნდა ავაწყოთ".

გერმანელებს დღეს მიროსლავ კლოზე ვერ დაეხმარება. „კაიზერსლაუტერნის" ფორვარდი „ჰამბურგთან" მატჩში დაშავდა და დაახლოებით ერთთვიანი მკურნალობა სჭირდება.

ფიოლერს მიაჩნია, რომ შეტევაში მას საკმაოდ ფართო არჩევანი აქვს. ბოხუმელი პოლ ფრაიერი, შტუტგარტელი კევინ კურანი, ჰანოვერელი ფრედი ბობიჩი და ლევერკუზენელი ოლივერ ნოივილი. ბუნდესნაკრების მწვრთნელმა აღნიშნა, ზემოთ ჩამოთვლილი თავდამსხმელები დღეს საუკეთესო ფორმაში არ არიანო, მაგრამ ივნისისთვის მათი მაინც ეიმედება.

გერმანული მედია ფიოლერს მარტინ მაქსზე მიუთითებს. „ჰანზას" ფორვარდმა ეროვნული გუნდის მაისურა ერთხელ, 2002 წლის აპრილში არგენტინის წინალმდეგ მატჩში მოირგო. ამჟამად მაქსი 35 წლისაა. იგი ბუნდესლიგის გერმანელ მეგოლეებს შორის პირველია. მიუხედავად ამისა, მწვრთნელმა სადღეისოდ არ უხმო, თუმც ფიოლერმა თქვა, მარტინ მაქსისთვის ნაკრების კარი დახურული არ არის და მას შანსი აქვსო.

„ჰანზას" თავდამსხმელმა კი დაიჩივლა: „2000-2002 წლებში ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირი ვიყავი, არც ევროპის ჩემპიონატზე წამიყვანეს და არც მუნდიალზე, ახლა დავბერდი და ნაკრების მწვრთნელს ახალგაზრდების მიწვევა ურჩევნია".

გერმანელთა მეტოქე ბელგიას შარშანდელი 7 ივნისის შემდეგ სტუმრად არ უთამაშია. მაშინ „წითელმა ეშმაკებმა" სოფიაში ბულგარეთთან ფრე გააჩერხეს. ემე ანტუნესს დღეს მხოლოდ ტრავმირებული ემილ მპენზა არ ეყოლება.

დღევანდელი მატჩი კიოლნში გაიმართება. საკუთარი გუნდის გადამკიდე კიოლნელ ქომაგებს მოგების გემო დაავიწყდათ და ეგებ ბუნდესნაკრებმა მათ გამარჯვება აჩუქოს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## შვედეთი - ინგლისი

## კაპიტანნაცვალი მამინაცვლის ალი-კვალით



სტივენ ჯერარდი

**შვედებთან** ამხანაგურ მატჩში ინგლისის ნაკრებს ლივერპულელი სტივენ ჯერარდი უკაპიტნებს. ეს ნიშნავს, რომ ინგლისელთა შემადგენლობაში არც ინგლისელთა ნაღდი კაპიტანი დევიდ ბექემი იქნება და არც ვიცე-კაპიტანი, ჯერარდის თანაგუნდელი მაიკლ ოუენი. ორივე ტრავმებმა გამოაკლო გიოტებორგულ მატჩს.

ჯერარდმა კი დღევანდელი თამაშის წინ თქვა, მიხარია, სვენ გორან ერიკსონმა ნაკრებთან 2008 წლამდე რომ გააგრძელა კონტრაქტიო: „ნაკრების ყველა წევრი ამ ცნობამ უზომოდ გაგვახარა და დარწმუნებული ვარ, ჩვენს სიხარულს მთელი ინგლისი გაიზიარებს. ახლა უფრო მეტად მგონია, რომ ევროპის ჩემპიონატზე წარმატებას მივაღწევთ."

მოგეხსენებათ, ერიკსონის გადაბირება რომან აბრამოვიჩს თავისი „ჩელსისთვის" სურდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ფულზე არ იყიდება.

უშუალოდ დღევანდელ ამხანაგურ მატჩზე კი ვთქვათ, რომ პორტუგალიაში წამსვლელი შემადგენლობის დასახელებამდე ეს ინგისელთა ბოლო თამაშია, ანუ ვინც დღეს თავს გამოიჩენს, დარწმუნებული იქნება, რომ ერიკსონი მოწყალე თვალით გადახედავს. შვედი ნაკრების საპორტუგალიო შემადგენლობას 17 მაისს დაასახელებს.

აქედან გამომდინარე, დღევანდელი მატჩი ბრწყინვალე შანსია ორი ყმაწვილი ფეხბურთელისთვის — შონ რაიტ-ფილიპსისთვის და ჯერმენ დეფოსთვის, ერიკსონმა გიოტებორგში ორივე წაიყვანა.



შონ რაიტ-ფილიპსი



ჯერმენ დეფო

ამათ გარდა შეგვიძლია დავასახელოთ სელტიკელი ნახევარმცველი ალან ტომპსონიც.

ჯერმენ დეფომ, რაც იანვარში „ვესტ ჰემ იუნაიტედიდან" „ტოტენჰემში" გადავიდა, სამ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა და მწვრთნელს ის ოუენის შემცვლელად ეგულება. თავად დეფომ კი ნაკრებში თავის გამოძახებაზე თქვა: „ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ეს ბრწყინვალე შანსია. მისტერ ერიკსონმა თქვა, რომ ნაკრების კარი ყველა ღირსეული ფეხბურთელისთვის ღიაა და მე მზად ვარ, ნაკრებისთვის ღირსეული ფეხბურთელი ვიყო."

რაიტ-ფილიპსის გამოძახება კი, როგორც ამბობენ, სიტელი ფეხბურთელის „მანჩესტერ იუნაიტედის" წინაალმდეგ ორივე შეხვედრაში ბრწყინვალე თამაშით იყო განპირობებული. რაიტ-ფილიპსმა „იუნაიტედს" ამ სეზონში ორი გოლიც გაუტანა და მცოდნე ხალხი მას „არსენალის" ძველ ვარსკვლავს, მამინაცვალიან რაიტს ადარებს.

დღეს რაიტ-ფილიპსი დევიდ ბექემის ნაცვლად დაიწყებს თამაშს.

თუკი ინგლისელებს ბექემი და ოუენი აკლიათ, უპრობლემოდ არც შვედები არიან. მათაც თავისი საუკეთესო ფეხბურთელი, არსენალელი ფრედი ლიუნგბერგი დააკლდებათ.

შვედთა მწვრთნელმა, ლარს ლაგერბეკმა იქაურ რადიოსთან ინტერვიუში თქვა: „ლიუნგბერგი მეტისმეტად გადაღლილია. ცხადია, შეგვეძლო მისთვის თამაში გვეთხოვა, მაგრამ არ ღირს. სჯობს, დაისვენოს და ოფიციალური მატჩებისთვის მზად იყოს, ვიდრე ამხანაგურ შეხვედრაში არაქათი გავაცალოთ."

ისტორია კი გვამცნობს, რომ ინგლისის ნაკრებს შვედები 1968 წლის მერე არ დაუმარცხებია და ალბათ ვერც ახლა შეძლებს, რაკი ძირითადი შემადგენლობის შვიდი ფეხბურთელი აკლია.

ბოლოს კი გავიხსენოთ, რომ სვენ გორან ერიკსონს გიოტებორგთან საუკეთესო მოგონებები აკავშირებს. შვედმა თავის დროზე იქაურ გუნდს ქვეყნის ჩემპიონობა, ორჯერ შვედეთის თასი და 1982 წელს უეფას თასი მოაგებინა.

**ირაკლი ნინიძე**

# ამხანაგური მატჩები




## შოტლანდია - რუმინეთი




ტომი ბარნსმა და ბერტი ფოგთსმა ნაკრებში ჯონ კენედის უხმეს

## შოტლანდიაში ჯონ კენედი ნახეს

**შოტლანდიელები** ბოლო ორ გასვლით მატჩში შერცხვნენ. შარშან ნოემბერში ჰოლანდიასთან 0:6 დამარცხდნენ, წლეულს თებერვალში კი უელსელებმა 4:0 დაიფრინეს.

სქოთები ბერტი ფოგთსისგან შელახული ღირსების აღდგენას ითხოვენ. გერმანელ მწვრთნელს დღეს შანსი აქვს, შოტლანდიას გუნება გამოუკეთოს, საამისოდ კი რუმინელთა ძლევა სჭირდება.

აღსანიშნავია, რომ 2003 წლის 30 აპრილიდან 16 ნოემბრამდე სტუმრად გამართული ხუთ შეხვედრიდან ანგელ იორდანესკუს გუნდმა მხოლოდ ერთხელ, იტალიასთან წააგო.

მასპინძლებს ოხრად პრობლემები დაუგროვდათ — შვიდი ფეხბურთელი ჰყავთ ტრავმირებული. „მანჩესტერ იუნაიტედის“ დარენ ფლეტჩერი „არსენალთან“ მატჩში დაშავდა, ხოლო პოლ გალაჰერი, მეკარე რობერტ დუგლასი, ჯეკი მაკნამარა, ენდი ვებსტერი, კევინ კაილი და გარი ნეისმიტი ადრევე გამოაკლდნენ. გუშინწინდელ ვარჯიშზე მწვრთნელს მხოლოდ რვა ფეხბურთელი ახლდა, დანარჩენები კი გუშინ შეუერთდნენ.

ტრავმებით თავატკივებულმა ფოგთსმა სელტიკელ სტეფან პირსონს და პორტსმუთელ რიჩარდ ჰიუზს უხმო. ასევე გამოძახებულია შოტლანდიის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი, 21 წლის ჯონ კენედი — „სელტიკის“ ნახევარმცველმა „ბარსელონასთან“ და „რეინჯერსთან“ კარგი თამაშით გერმანელს თავი მოაწონა.

ფოგთსის თანაშემწე ტომი ბარნსმა თქვა, ძირითადი შემადგენლობის ამდენი ფეხბურთელის არყოფნაში შანსს ახალგაზრდებს მივცემთ და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ეგებ ახალი სახელები აღმოვაჩინოთო.

რუმინელები ადრიან ილიეს და კოზმინ კონტრას გარეშე ეწვევიან გლაზგოს. ანგელ იორდანესკუმ ნაკრებში „სტიაუას“ სამ ფეხბურთელს არ უხმო. მირეი რადოიმ, ფლორენტინ დუმიტრუმ და დორინელ მუნტიანუმ თებერვალში კვიპროსის ტურნირზე წასვლა იუარეს და ისინი ამის გამო დასაჯეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ირლანდია - ჩეხეთი

## იაროშიკი ჯარში დარჩა

**შეძლებს** თუ არა ირლანდია კარლ ბრიუკნერის გუნდის წაუგებელი სერიის შეწყვეტას, დუბლინში გამოჩნდება.

ირლანდიელთა მწვრთნელსა ბრაიან კერს ნაკრებში ახალწვეულები ეყოლება. ტოტენჰემელი სტეფან კელი და სელტიკელი ლაიამ მილერი ეროვნულ გუნდში პირველად გამოიძახეს.

ტრავმირებულნი არიან „ნიუკასლის“ და „ლიდსის“ ნახევარმცველები: ენდი ობრაიენი და სტეფან მაკფაილი.

კერმა მანჩესტერელი ჯონ ოში არ მიიწვია, ისევე როგორც სანდერლენდელები გარი ბრაინი და ჯეისონ მაკკატირი. მათ ინგლისის ლიგის თასის ნახევარფინალები აქვთ სათამაშო.



ჩეხების მთავარი კაცი, პაველ ნედვედი ჯანზეა

ჩეხთა ნაკრებს კარელ პობორსკი ვერ დაეხმარება. ტრავმირებულია დორტმუნდის „ბორუსიას“ გამთამაშებელი ტომაშ როსიცკი. კარში „რენის“ მეკარე პეტირ ჩეხი ჩადგება, რომელიც მომავალი სეზონიდან „ჩელსის“ ღირსებას დაიცავს.

პობორსკის ნაცვლად ბრიუკნერმა „გრაციდან“ ლობორ სიონკოს უხმო. დუბლინში არ ითამაშებს მოსკოვის ცსკა-ს შემტევი ნახევარმცველი ირჟი იაროშიკი. მან ახალი მწვრთნელის, არტურ ჟორჟეს მისვლის დღიდან გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და თავად ითხოვა მოსკოვში დარჩენა. იაროშიკს „მიუნხენ-1860“-ის ნახევარმცველი რომან ტიისე შეცვლის.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ნაიბეტს ყატარი ექახის

**ყატარის** გზას რომ ბევრი სახელიანი ფეხბურთელი დაადგა, ძველი ამბავია. იქაურები მობერებულ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრის შემძლე ვარსკვლავებში ფულს არ იშურებენ. ეფენბერგი, იერო, ბატისტუტა, კანიჯა და მრავალი სხვა ყატარელ ლიგაში აგორებენ ბურთს, მათ გაისად, სავარაუდოდ, „დეპორტივოს“ მაროკოელი მცველი ნურედინ ნაიბეტიც შეუერთდება.

ნაიბეტი ყატარელ გულშემატკივართა შორის ძალიან პოპულარული ყოფილა, იმდენად პოპულარული, რომ ყატარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა (სხვათა შორის, ემირის შვილია) მისი გადაბირება მომავალი სეზონის უმთავრეს მიზნად დაისახა. „დეპორის“ ვეტერანზე არაბები გასულ ზაფხულშიც ოცნებობდნენ, მაგრამ მაშინ ორმხრივი შეთანხმების გაფორმება ვერ მოხერხდა.

ამჟამად საქმე შეიძლება შეტრიალდეს. 1979 წელს დაარსებული „ალ იტიჰადი“, რომელსაც ბელგიელი ვალტერ მიუსი უდგას სათავეში (ადრე მაროკოს „კასაბლანკას“ წვრთნიდა) ნაიბეტის ხელიდან გაშვებას არ აპირებს. „ნურადინთან ერთად ყატარის უპირველესი კლუბი გავხდებით“ — აცხადებს მაროკოული ფეხბურთის კარგად მცოდნე ევროპელი.

ალბათ ყატარელებს ნაიბეტის დოჰაში ჩატყუება არ უნდა გაუჭირდეთ, საამსაქმოდ „ალ იტიჰადის“ თავკაცებს, ფედერაციის პრეზიდენტის ხელშეწყობით 30 მილიონი დოლარი გადაუდიათ. ამდენ ფულზე კი „დეპორტივო“ ნაღდად არ არის უარის მთქმელი.

**ლადო ხომერიკი**



## ზოდიში, თქვენ აღარ გელით კონტრაქტი

**ახლახან** გაუწყეთ, რომ ამსტერდამის „აიაქსმა“ გადაწყვიტა, იარი ლიტმანენთან კონტრაქტი — რომელსაც ყავლი მიმდინარე სეზონის დასასრულს გასდის — აღარ განაახლოს. ჰოლანდიელთა სპორტული დირექტორის, არი ვან ეიდენის განცხადებით, ამის მიზეზი ფინელი ვეტერანის გამუდმებული ტრავმებია. „სამწუხაროა, რომ ჩვენი გზები გაიყოფა, მაგრამ ამ საკითხის მოგვარების სხვანაირად უკვე ველარ მოვახერხებთ. ბოლო წლებია, ლიტმანენს ტრავმები არ აძლევს საშუალებას, გუნდს სრულფასოვნად დაეხმაროს. მას გაცილებით ნაკლები სარგებელი მოაქვს, ვიდრე თავიდან მოველოდით. რაკი ამ სეზონშიც ძალიან ცოტა ხანს ითამაშა, გადავწყვიტეთ, იარისთან საკონტრაქტო ხელშეკრულება აღარ გავაფორმოთ“ — განაცხადა ამსტერდამელმა მაღალმოხელემ.



იარი ლიტმანენი

ლიტმანენი, რომელიც ბოლო ხანს მართლაც არაფრით არ გამოირჩეოდა, გასული საუკუნის 90-ანი წლების „აიაქსის“ ერთ-ერთი ლეგენდა იყო. ფინელი ვარსკვლავი ჰოლანდიის ოთხგზის ჩემპიონი, სამგზის თასის და ერთხელ ქვეყნის სუპერთასის მფლობელია. 1995 წელს ჩემპიონთა ლიგის მოგებაც იზეიმა (მაშინ ვან გაალის საოცარმა გუნდმა „მილანი“ დაამარცხა ფინალში 1:0). ჰოლანდიის ჩემპიონატში ფინელმა 179 მატჩში 96 გოლი შეაგდო, ხოლო ჩემპიონთა ლიგის 53 თამაშში მეტოქე 24 გატანილი ბურთით დაამწუხრა.

1999-ში იარი კატალონიურ „ბარსელონაში“ გადავიდა, საიდანაც ინგლისურ „ლივერპულს“ მიაშურა. ჯერ კიდევ „კამპ ნოუზე“ ყოფნისას ფინეთის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი სხვადასხვა სატკივარმა გატანჯა.

„ძალიან გვსურს, იარი ლიტმანენმა საამსეზონოდ დარჩენილ მატჩებში ითამაშოს და ქომაგებს და „აიაქსს“ ისე გამოეთხოვოს, როგორც მისი დონის ფეხბურთელს შეეფერება“ — ამბობს არი ვან ეიდენი.

**ლადო ხომერიკი**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

დღეს

### პარაგვაი - ბრაზილია

სავარაუდო შემადგენლობები

| პარაგვაი | ბრაზილია |
|---|---|
| ვილარი, არსე, გამარა, ხ. კასერესი, ტოლედო, პარედესი, ორტისი, ბონეტი, ალვარენგა, ხ. კარდოზო, სანტა კრუზი | დიდა, კაფუ, ლუსიო, როკე ჟუნიორი, რობერტო კარლოსი, რენატო, ჟილბერტო სილვა, ზე რობერტო, კაკა, რონალდინიო, რონალდო |

### პერუ - კოლუმბია

### ურუგვაი - ვენესუელა

# მოგზაურობა ოკეანის თავზე

## დათოვლილი ბრაზილია ასუნსიონში გადნა



ნამგზავრმა რონალდომ გოლფის სათამაშოდ მოიცალა...

**დღეს** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ბრაზილიის ნაკრები პარაგვაის სტუმრობს და რაოდენ დაუჯერებლადაც უნდა ჟღერდეს, გამარჯვების იმედი აქვს.

ზოგადად, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნებისმიერი გუნდისთვის მრისხანე მეტოქეა, მაგრამ არა პარაგვაისთვის. მაგალითები მოვიყვანოთ. ასუნსიონში ბოლო სტუმრობისას ბრაზილიამ 1:2 წააგო. ამასთანავე, მსოფლიოს ჩემპიონად გახდომის მერე, ორი წლის წინ, ბრაზილიას პირველი ამხანაგური მატჩი სწორედ პარაგვაისთან ჰქონდა და 0:1 დამარცხდა. პარაგვაის ახალგაზრდული ნაკრები კი ათენის ოლიმპიადაზე იმის წყალობით მოხვდა, რომ გადამწყვეტ მატჩში ბრაზილიის 21-წლამდელები დაამარცხა.

„ვიცი, რომ ურთულესი მატჩი გველის — აღიარა ბრაზილიელთა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ — მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვიგებთ, მეტოქეს ჩვენს თამაშს თუ მოვახვევთ თავს."

არადა, ბრაზილიის ნაკრები ამ შეხვედრას პრობლემებით ხვდება. ევროპულმა კლუბებმა — მოგეხსენებათ, საუკეთესო ბრაზილიელი ფეხბურთელები ევროპაში თამაშობენ — ნაკრების წევრები პარაგვაისთან მატჩამდე ოდენ 48 საათით ადრე გაუშვეს. ამას ოკეანის თავზე მრავალსაათიანი ფრენა დაუმატეთ და აღმოჩნდება, რომ პენტაკამპეონებმა მატჩამდე მხოლოდ ერთი ვარჯიშის ჩატარება მოასწრეს.

განვმარტოთ: ოფიციალური მატჩისთვის კლუბი ვალდებულია, ფეხბურთელი ხუთი დღით ადრე გაუშვას, მაგრამ რაკი სამხრეთამერიკული შესარჩევი მატჩები ფიფას დაწესებული ამხანაგური მატჩების გამართვის დღეს ტარდება, კლუბებმა ამ შემთხვევისთვის დაწესებული წესით ისარგებლეს და ფეხბურთელები ნაკრებში ორი დღით ადრე გაუშვეს. შესაბამისად, ბრაზილიელებს უქმეებზე ეროვნულ ჩემპიონატებში დაძაბული მატჩები ჰქონდათ, მერე ამდენსაათიანი ფრენა და ორშაბათს ასუნსიონში ჩასულებს 30-გრადუსიანი სიცხეც დახვდათ.

„ევროპის ზოგ ქვეყანაში ახლა თოვს — წუწუნი განაგრძო პარეირამ — პარაგვაიში კი 30-გრადუსიანი სიცხეა. დარწმუნებული ვარ, რომ ბიჭები თავს არ დაზოგავენ, მაგრამ მათი ორგანიზმი როგორ გაუძლებს ტემპერატურის ასეთ ცვალობადობას, არ ვიცი."

ყველაფერ ამას ისიც ემატება, რომ ნახევარმცველები კლებერსონი და ალექსი და მარჯვენა მცველი ბელეტი ნაკრებს ტრავმების გამო გამოაკლდნენ.

ცხადია, ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა ნაწილი პარაგვაელებსაც აწუხებთ, მაგრამ ისინი უკეთეს პირობებში არიან, რაკი ევროპის საუკეთესო კლუბებში ნაკლები ფეხბურთელები ჰყავთ, ამიტომაც გუნდის ძირითად ბირთვს თამაშამდე ერთი კვირით ადრე მიეცა შეკრების საშუალება.

„ბრაზილია შემტევი გუნდია, მაგრამ დაცვაში დიდ სივრცეებს ტოვებს და ეს უნდა გამოვიყენოთ" — თქვა პარაგვაელთა მცველმა დელიო ტოლედომ, რომლის გუნდიც შესარჩევი ჯგუფის ლიდერია, სამი თამაშიდან ცხრა ქულა აქვს.

**კოტე კეკელია**



...ამ სამეულს კი თვალი ბურთისკენ ნაღდად არ გაქცევიათ

# თითიც არ დამიკარებია!

## ტიერი ანრი მანჩესტერს ამხელს



ტიერი ანრის და ლორენის შელაპარაკება მოედანზევე დამთავრდა

**პრემიერლიგის** დიდი მატჩის, „არსენალ" — „მანჩესტერის" ექო ჯერაც არ მიმწყდარა. მაგალითად, რაიან გიგზს კვლავაც მიაჩნია, რომ სოლ კემპბელმა ხელი ჰკრა და ამისთვის პენალტი ეკუთვნოდათ. თავის მხრივ, „არსენალიც" თვლის, რომ ერთი პენალტი მასაც ეკუთვნოდა.

მაგრამ ყველაზე ხმაურიანი ამბავი თვით „არსენალის" ფეხბურთელთა შორის მომხდარი შელაპარაკებაა. თამაშის ბოლო წუთზე კარის წინ ეულად დარჩენილმა ტიერი ანრიმ თანაგუნდელ ლორენისგან პასი ვერ მიიღო, კამერუნელმა თავად დაარტყა და ანრიმ მოედანზევე ყვირილი აუტეხა, ბურთი რატომ არ მომეციო, თანაგუნდელთა ხმამაღალი ლაპარაკი გასახდელისკენ მიმავალ გზაზეც გაგრძელებულა — ლორენს და ანრის გვარიანად ულრიალიათ.

ორშაბათის გაზეთებმა ეს ამბავი ჩხუბად მონათლეს, ფეხბურთელები ერთმანეთს დაერივნენო, ამან კი ანრის გულისწყრომა გამოიწვია: „თითითაც არ შევხებივართ ერთმანეთს, უბრალოდ, ხმამაღლა ვილაპარაკეთ. ვიკამათეთ, ასე ვთქვათ. ასეთი რამეები ხდება ფეხბურთში. ბოლოს ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს. თუ გინდათ, ჩვენი და „მანჩესტერის" მოთამაშეებს ჰკითხეთ".

ანრის აზრით, პრესას ტყუილად არ აუტეხია ხმაური, ჭორი, რომ თითქოს ჩხუბი მოხდა, მედიამდე ალბათ „მანჩესტერმა" მიიტანა, რათა „მეთოფენი" გაეღიზიანებინა.

„მათ მოედანზე ვერაფერი დაგვაკლეს და მის გარეთ გადაწყვიტეს ჭორაობა — თქვა ანრიმ — მე პატივს არ ვცემ ხალხს, ვინც ჭორაობს. ასეთებს არც ფეხბურთელებად ვაგდებ, არც ნამდვილ ადამიანებად. მათი ქცევები ჩემზე არ მოქმედებს".

ამგვარი განცხადება ხალხს იმ ცნობილ ილეთს თუ გაახსენებს, რომელსაც სერ ალექს ფერგიუსონი მიმართავს ხოლმე „არსენალთან" სატიტულო ბრძოლაში. ის ყოველთვის ისეთს იტყვის, რომ „მეთოფეთა" ბოსი არსენ ვენგერიც მწყობრიდან გამოჰყავს. შარშან „მანჩესტერმა" ცხვირწინააცალა ჩემპიონობა „არსენალს", რომელიც ბარე ცხრა ქულით უსწრებდა. მაშინ ფერგიმ თქვა, ვენგერის გუნდი მედიდურობამ შეიპყრო და ცხვირს წაიმტვრევსო.

საკვირაო თამაშის შემდეგ „მანჩესტერის" მენეჯერმა განაცხადა: „არსენალს" ველარაფერი შეუშლის ხელს ჩემპიონატობაში. თუმცა, ჩვენ ვაჩვენეთ, რომ თავში ვერ წამოგვარტყამენ".

რამდენად გულწრფელია ფერგიუსონის ეს ნათქვამი, იოლი მისახვედრია, გუნდები კი კვლავ ხვდებიან ერთმანეთს ამ კვირას, ბირმინგემის „ველაპარკზე", თასის ნახევარფინალში. ანრი ამბობს, რომ „გვირაბის ჭორები" დამატებით სტიმულს მისცემს მის გუნდს საკვირაო თამაშისთვის, თუმცა თითქოს გადაწყვეტილია, რომ ვენგერი ანრის და ფრედი ლიუნგბერგს დასვენებას უპირებს, ვინაიდან ორი დღის თავზე „არსენალს" ჩემპიონთა ლიგის თამაში ელის „ჩელსისთან".

ანრი თავად ამბობს: „ძალიან ძნელია ორ კვირაში ორ-ორჯერ ეთამაშო „მანჩესტერს" და „ჩელსის". მართლა არ მაწყენდა დასვენება".

მოკლედ, ჩახლართული ამბავია.

**ირაკლი გამყრელიძე**

# მაცონემ რეალი ურჩია
## ფაკეტი ტოტის რომადან არ უშვებს

*ფრანჩესკო ტოტის გარშემო დიდი ამბებია მოსალოდნელი. როგორც ჩანს, ამ ვარსკვლავის აღმზრდელი კლუბი „რომაა“, რომელიც აღზრდის ორგულობას ნამდვილად ვერ დასწამებს, მისი თავისთან დამტოვებელი არ არის, ანუ საბოლოოდ ისე მოხდება, რომ კლუბი ტოტის გაყიდვით ფინანსურ პრობლემებს მოიგვარებს.*



რას ურჩევს ფრანჩესკო ტოტის გულისსწორი ილარი ბლაზი, არავინ იცის

ტოტი კი რა ხანია, არ მალავს, რომ თავი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ფეხბურთელად მიაჩნია და იმას, რომ სხვადასხვა რეფერენდუმ-გამოკითხვებში ვერ იმარჯვებს, მთლიანად გუნდს აბრალებს. ეს პრინციპში ლოგიკურია: როდესაც თამაშობ „რომაში“ და საუკეთესო შედეგი რამდენიმე წლის წინ გქონდა (მხოლოდ და მხოლოდ ერთგზის სკუდეტო) სხვაა, ხოლო როდესაც თამაშობ იქ, სადაც ყოველწლიურად ჩემპიონი ან თითქმის ჩემპიონი ხდები და ასევე ყოველწლიურად ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მაინც ტრიალებ, სხვა.

საინტერესოა, რომ ამ დღეებში ერთ-ერთ იტალიურ ვებ-გვერდზე ეწერა, თითქოს ტოტი ფაქტობრივად, გარიგებულია მადრიდის „რეალთან“ და ის კი არა, ამ დღეებში მადრიდში უნდა ჩავიდეს და იქაურ კლუბის ექიმებს ეჩვენოს კიდეც. ისიც წერია, რომ ამ კვირას, „რომას“ „ბოლონიასთან“ დამარცხების შემდეგ ტოტისთან მეტოქის თავკაცი, გამოცდილი კარლო მაცონე მისულა და ზემოხსენებული ვებ-გვერდის საიტის მტკიცებით უთქვამს, რომ ტოტი არ უნდა აჰყვეს დიდ იტალიურ კლუბებს და მათთან არავითან შემთხვევაში არ უნდა გადავიდეს. ბებერ ტაქტიკოსს ვარსკვლავისთვის სწორედ „რეალი“ ურჩევია.

და სწორედ დიდ იტალიურ კლუბებთან დაკავშირებით: „ინტერის“ შეფმა, წარსულში დიდებულმა ფეხბურთელმა ჯაჩინტო ფაკეტიმ განაცხადა, რომ მისი რწმენით... ტოტი „რომადან“ არსად არ წავა.

„ტოტი „რომას“ სიმბოლოა, ხოლო სიმბოლოები სხვაგან არ უნდა მიდიოდნენ. მე უბრალოდ ვერ დავიჯერებ, რომ ტოტის „რომა“ სადმე გაუშვებს. ის სამუდამოდ რომაელი დარჩება“ — განაცხადა ფაკეტიმ.

და რატომ დასჭირდა ფაკეტის ამ თემაზე საუბარი? იმიტომ, რომ არცთუ დიდი ხნის წინ იმ კლუბის მფლობელმა, რომლის პრეზიდენტიც თავად გახლავთ, განაცხადა, ტოტის სიამოვნებით შევუძენდი „ინტერს“, ოღონდა კარგად მესმის, რომ ამ საქმეში უსასტიკეს კონკურენციას შევხვდებოდიო.

ლაპარაკია, იმაზე, რომ ფრანჩესკო ტოტის შეძენა „მილანს“ და „ჩელსისაც“ სურთ.

**პაპუნა ძედია**

# თავს ნუ იტყუებთ
## რუი კოშტამ მილანი დაიფიცა

**პორტუგალიელი** მანუელ რუი კოშტას მტკიცებით, მიუხედავად „ბენფიკაზე“ ბევრი ლაპარაკისა, მისი მომავალი მაინც „მილანთან“ არის დაკავშირებული. მოგეხსენებათ, ნახევარმცველს ბოლო პერიოდში სულ მეტად და მეტად უკავშირებდნენ მის ყოფილ კლუბს და იმასაც კი ამბობდნენ, თითქოს ყველაფერი უკვე მოგვარებულიაო.

„ბენფიკასთან“ არაფერზე შევთანხმებულვარ — თქვა პორტუგალიელმა ვარსკვლავმა — ყველა, ვინც ამბობს, რომ ლისაბონელებს უკვე გავურიგდი, თავს იტყუებს ან უბრალოდ ჭორაობს. ან კი როგორ შევუთანხმდებოდი ვინმეს, როდესაც მათთან არც მილაპარაკია, კონტრაქტი კი „მილანთან“ მაქვს გაფორმებული და მის თანახმად, კიდევ ორი წელიწადი, შავ-წითელი ფორმა უნდა მეცვას“.

სხვა საქმეა, რომ რუი კოშტას არაერთგზის უთქვამს, კარიერის დასრულება ჩემს მშობლიურ გუნდში მინდაო. სხვათა შორის, ამ გამთამაშებლით დაინტერესებული ყოფილა „პარი სენ ჟერმენიც“, თუმცა ამ სეზონში პარიზელი ემისრები პორტუგალიელს მოედანზე მაინცდამაინც ხშირად ვერ ნახავდნენ, რადგან „მილანის“ ძირითად შემადგენლობაში მასზე გაცილებით ხშირად ბრაზილიელი კაკა თამაშობს.

შეგახსენებთ, რომ „ბენფიკას“ და „მილანს“ გარდა რუი კოშტა „ფიორენტინაში“ გამოდიოდა.

**პაპუნა ძედია**






„კიევოს“ მწვრთნელი, ლუიჯი დელ ნერი ამბობს, რომ ზუსტად არ იცის, სად იმუშავებს მომავალ სეზონში.

# დელ ნერი ნირს არ იცვლის

„ამწუთას არაფერი ხდება — უთხრა დელ ნერიმ რადიო RAI-ს, — დღეს დიდი კლუბები მხოლოდ სეზონის წარმატებით ჩამთავრებაზე ფიქრობენ“.

ხოლო სანამ დიდი კლუბები სეზონის წარმატებით ჩამთავრებაზე ფიქრობენ, მიმომხილველების აზრით, დელ ნერი „იუვენტუსში“ ან „ინტერში“ გადავა.

„ეს ჭორები ვიცი, დიდი ხანია ტრიალებს, მე კი „კიევოში“ ვაგრძელებ მუშაობას — თქვა დელ ნერიმ — იუვენტუსი? აბა, რა გითხრათ, მგონი მარჩელო ლიპის თავისუფლად შეუძლია ტურინში დარჩეს და წარმატებით განაგრძოს მუშაობა. რაც შეეხება „ინტერს“, ნებისმიერი დიდი გუნდის მწვრთნელი გავხდებოდი, თუმცა „კიევოშიც“ ბედნიერად ვგრძნობ თავს და აქ ვერონაშიც ყველასთან საუკეთესო ურთიერთობა მაქვს. სხვათა შორის, „კიევოსთან“ ჩემს კონტრაქტს ვადა ამ ზაფხულს გაუდის, თუმცა აქ უცნაური არაფერია, რადგან მე ყოველთვის თითოწლიან კონტრაქტს ვაწერ ხელს“.

**პაპუნა ძედია**

### გერმანია
**II ბუნდესლიგა. XXVI ტური**

**მაინცი 0:2 არმინია**

0:1 ფ. ვატა (30), 0:2 პორკელიო (48)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 26 | 13 | 7 | 6 | 48:30 | 46 |
| კოტბუსი | 26 | 13 | 7 | 6 | 41:32 | 46 |
| არმინია | 26 | 12 | 6 | 8 | 38:27 | 42 |
| ალემანია | 26 | 12 | 6 | 8 | 39:36 | 42 |
| ობერჰაუზენი | 26 | 12 | 6 | 8 | 38:36 | 42 |
| მაინცი | 26 | 9 | 12 | 5 | 34:28 | 39 |
| დუისბურგი | 26 | 10 | 8 | 8 | 40:33 | 38 |
| აუე | 26 | 9 | 8 | 9 | 33:32 | 35 |
| კარლსრუე | 26 | 9 | 7 | 10 | 30:35 | 34 |
| ტრირი | 26 | 9 | 6 | 11 | 36:41 | 33 |
| რეგენსბურგი | 26 | 8 | 9 | 9 | 32:37 | 33 |
| ბურგჰაუზენი | 26 | 8 | 8 | 10 | 31:30 | 32 |
| უნტერჰახინგი | 26 | 8 | 8 | 10 | 31:35 | 32 |
| ლიუბეკი | 26 | 8 | 8 | 10 | 38:43 | 32 |
| ფიურტი | 26 | 6 | 11 | 9 | 40:41 | 29 |
| ალენი | 26 | 8 | 5 | 13 | 26:38 | 29 |
| უნიონი | 26 | 7 | 7 | 12 | 30:34 | 28 |
| ოსნაბრიუკი | 26 | 6 | 5 | 15 | 25:42 | 23 |

### პორტუგალია
**სუპერლიგა. XXVIII ტური**

**ბელენენსეში 2:0 ჟილ ვისენტე**

1:0, 2:0 უგო ენრიკე (40, 90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 27 | 22 | 5 | 0 | 58:15 | 71 |
| სპორტინგი | 28 | 20 | 4 | 4 | 50:27 | 64 |
| ბენფიკა | 28 | 18 | 6 | 4 | 52:25 | 60 |
| ბრაგა | 28 | 13 | 8 | 7 | 28:28 | 47 |
| ნასიონალი | 27 | 14 | 4 | 9 | 45:28 | 46 |
| რიუ ავე | 28 | 10 | 11 | 7 | 37:25 | 41 |
| მარიტიმუ | 28 | 9 | 12 | 7 | 28:27 | 39 |
| ბოავიშტა | 28 | 9 | 11 | 8 | 25:23 | 38 |
| ბეირა მარი | 28 | 10 | 6 | 12 | 35:38 | 36 |
| მორეირენსე | 28 | 8 | 10 | 10 | 23:28 | 34 |
| ლეირია | 28 | 8 | 9 | 11 | 36:42 | 33 |
| ჟილ ვისენტე | 28 | 7 | 10 | 11 | 36:35 | 31 |
| ალვერკა | 28 | 8 | 5 | 15 | 29:39 | 29 |
| აკადემიკა | 28 | 8 | 4 | 16 | 26:34 | 28 |
| ბელენენსეში | 28 | 6 | 10 | 12 | 30:48 | 28 |
| გიმარაეში | 28 | 5 | 10 | 13 | 26:37 | 25 |
| ფერეირა | 28 | 7 | 3 | 18 | 20:42 | 24 |
| ამადორა | 28 | 3 | 4 | 21 | 18:61 | 13 |

### ჩეხეთი
**გამბრინუსლიგა XXIII ტური**

**ლიბერეცი 1:1 ტეპლიცე**

0:1 ვერბირი (7), 1:1 კლეინი (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბანიკი | 23 | 14 | 7 | 2 | 49:20 | 49 |
| სლავია | 23 | 13 | 4 | 6 | 31:13 | 43 |
| სიგმა | 23 | 12 | 6 | 5 | 34:17 | 42 |
| სპარტა | 23 | 10 | 9 | 4 | 35:19 | 39 |
| სინოტი | 23 | 10 | 5 | 8 | 31:30 | 35 |
| ბუდეიოვიცე | 23 | 9 | 6 | 8 | 28:26 | 33 |
| ზლინი | 22 | 9 | 4 | 9 | 22:24 | 31 |
| ლიბერეცი | 22 | 7 | 9 | 6 | 19:17 | 30 |
| ტეპლიცე | 23 | 6 | 10 | 7 | 22:24 | 28 |
| ბრნო | 23 | 7 | 7 | 9 | 27:32 | 28 |
| პრჟიბრამი | 23 | 7 | 6 | 10 | 25:26 | 27 |
| იაბლონეცი | 23 | 4 | 13 | 6 | 18:25 | 25 |
| ოპავა | 23 | 6 | 5 | 12 | 26:43 | 23 |
| ბლშანი | 23 | 6 | 4 | 13 | 25:44 | 22 |
| ქიქკოვი | 23 | 5 | 6 | 12 | 14:25 | 21 |
| პლზენი | 23 | 4 | 7 | 12 | 17:38 | 19 |

### ამხანაგური მატჩი
**ახალგაზრდულები (U-21)**

**ისრაელი 1:0 ლიტვა**

1:0 შარშური (25)

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# წარმოგიდგენთ

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXXI ტური

3 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 001 | ფულემი-ბირმინგემი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 002 | მიდლსბრო-ბოლტონი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 003 | ნიუკასლი-ევერტონი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 004 | ტოტენჰემი-ჩელსი | 3,8 | 3.3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |
| 19.00 | 005 | ვულვერჰემპტონი-საუთჰემპტონი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |

4 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 006 | ასტონ ვილა-სიტი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 007 | ლივერპული-ბლეკბერნი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |

5 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 008 | ლიდსი-ლესტერი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |

## ინგლისი

### I დივიზიონი. XXXX ტური

3 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 041 | რედინგი-ვესტ ჰემი | 2.4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1.27 | 1,46 |
| 19.00 | 042 | ბარნლი-ნორვიჩი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 19.00 | 043 | ქრიუ-როტერჰემი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 19.00 | 044 | დერბი-უოლსოლი | 2.05 | 3.2 | 3,4 | 1.24 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 045 | ჯილინგემი-კარდიფი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.00 | 046 | პრესტონი-ბრედფორდი | 1,5 | 3,4 | 5,6 | 1.04 | 1,18 | 2,11 |
| 19.00 | 047 | შეფილდი-ნოტინგემი | 1.6 | 3.4 | 5.0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 19.00 | 048 | სტოკი-ქოვენტრი | 2.25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 049 | უიგანი-უიმბლდონი | 1,1 | 5,0 | 10.0 | 1 | 1 | 3,33 |

4 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 050 | იფსვიჩი-ვესტ ბრომვიჩი | 2,35 | 3,2 | 2.8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |

## ინგლისი

### III დივიზიონი. გადადებული მატჩები

31 მარტი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 074 | ბოსტონი-ჰალი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXI ტური

3 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 107 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 108 | სელტიკი-ჰართსი | 1,2 | 5,0 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,43 |
| 19.00 | 109 | დანდი-პარტიკი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 19.00 | 110 | დანფერმლაინი-კილმარნოკი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 111 | ჰიბერნიანი-ლივინგსტონი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |

4 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 112 | მაზერველი-რეინჯერსი | 6,5 | 3,6 | 1,5 | 2,31 | 1,21 | 1,05 |

### შოტლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი.

31 მარტი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 125 | ერდრი-ისტ ფაიფი | 1,55 | 3,6 | 4,2 | 1,08 | 1,13 | 1,93 |

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XXVII ტური

3 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 009 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 18.30 | 010 | ჰერტა-ჰანზა | 1,8 | 3,4 | 3,6 | 1,17 | 1,19 | 1,74 |
| 18.30 | 011 | მიონხენგლადბახი-ლევერკუზენი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 012 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |
| 18.30 | 013 | შალკე-ჰამბურგი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 18.30 | 014 | მიუნხენი-ჰანოვერი | 1,9 | 3,3 | 3.6 | 1.2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 015 | კიოლნი-აინტრახტი | 2,25 | 3,4 | 2,3 | 1,35 | 1,13 | 1,37 |

4 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 016 | ვერდერი-ფრაიბურგი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 20.30 | 017 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |

## იტალია. სერია A. XXVIII ტური

4 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 018 | ანკონა-სამპდორია | 6.5 | 3.2 | 1,5 | 2,14 | 1.21 | 1,02 |
| 18.00 | 019 | ბოლონია-რეჯინა | 1,8 | 2,9 | 4,8 | 1,11 | 1,3 | 1,8 |
| 18.00 | 020 | კიევო-პარმა | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 18.00 | 021 | ემპოლი-პერუჯა | 2,25 | 3,0 | 3,2 | 1,28 | 1,32 | 1,54 |
| 18.00 | 022 | ლაციო-სიენა | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| 18.00 | 023 | ლეჩე-რომა | 4,2 | 3,0 | 1,9 | 1,75 | 1,3 | 1,16 |
| 18.00 | 024 | მოდენა-მილანი | 5,6 | 3,2 | 1,65 | 2,03 | 1,27 | 1,08 |
| 18.00 | 025 | უდინეზე-ბრეშა | 1,95 | 2,8 | 4,4 | 1,14 | 1,35 | 1,71 |
| 23.30 | 026 | ინტერი-იუვენტუსი | 2.5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |

## იტალია

### სერია C1/B. XXIV ტური

31 მარტი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 200 | კატანძარო-პატერნო | 1,3 | 4,2 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,86 |
| 19.00 | 201 | მარტინა-ავილა | 1,4 | 3,2 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,24 |

## ესპანეთი

### I დივიზიონი. XXXI ტური

3 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 027 | სევილია-ესპანიოლი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 23.00 | 028 | ალბასეტე-რეალი | 4,8 | 3,3 | 1,7 | 1,95 | 1,25 | 1,12 |
| 01.00 | 029 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |

4 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 030 | ოსასუნა-მალაგა | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 20.30 | 031 | ბილბაო-სელტა | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 20.30 | 032 | სარაგოსა-რასინგი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 20.30 | 033 | მალიორკა-სოსიედადი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 20.30 | 034 | დეპორტივო-ბეტისი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 22.30 | 035 | ატლეტიკო-ვალიადოლიდი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 00.30 | 036 | ვალენსია-მურსია | 1,1 | 5,3 | 12,5 | 1 | 1.01 | 3,72 |

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XXXI ტური

2 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 227 | მონაკო-აიაჩო | 1.25 | 5.0 | 10.0 | 1 | 1.11 | 3.33 |

3 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 228 | ლიონი-მარსელი | 1.6 | 3,4 | 5.6 | 1.08 | 1,24 | 2.11 |
| 23.00 | 229 | ბასტია-ნიცა | 2.25 | 2,9 | 3,3 | 1,26 | 1,33 | 1.54 |
| 23.00 | 230 | ბორდო-სტრასბური | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1.1 | 1,25 | 2.03 |
| 23.00 | 231 | ლილი-რენი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 23.00 | 232 | მეცი-ლე მანი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 23.00 | 233 | მონპელიე-ლანსი | 2,3 | 3,2 | 2,45 | 1,33 | 1.18 | 1.38 |
| 23.00 | 234 | პსჟ-ნანტი | 1,7 | 3,3 | 4.8 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 23.00 | 235 | ტულუზი-სოშო | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |

4 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 236 | გენგამი-ოსერი | 2.6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XXIX ტური

2 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.30 | 252 | ალვერკა-გიმარაეში | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |

3 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 253 | ბოავიშტა-ამადორა | 1,15 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,01 | 3,04 |
| 01.15 | 254 | ჟილ ვისენტე-პორტუ | 5,6 | 3,6 | 1,55 | 2,19 | 1,21 | 1,08 |

4 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 255 | ბეირა მარი-აკადემიკა | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1.21 | 1,67 |
| 20.00 | 256 | მარიტიმუ-ბელენენსეში | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 21.00 | 257 | ფერეირა-ლეირია | 2,2 | 3,3 | 2,9 | 1,32 | 1,25 | 1,54 |
| 23.15 | 258 | რიუ ავე-ბენფიკა | 3,6 | 3,3 | 1,85 | 1,72 | 1,22 | 1,18 |
| 00.45 | 259 | ბრაგა-სპორტინგი | 3,4 | 3,3 | 1,95 | 1,67 | 1,23 | 1,22 |

5 მარტი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 260 | მორეირენსე-ნასიონალი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. XXVIII ტური

2 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 275 | ნაიმეგენი-ტილბურგი | 2.15 | 3,4 | 2,9 | 1,31 | 1,23 | 1,56 |

3 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 276 | როზენდალი-ზვოლე | 1,65 | 3,4 | 4.6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 22.30 | 277 | როდა-ჰერენვენი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 22.30 | 278 | ვალვაიკი-პსვ | 3,8 | 3,4 | 1,8 | 1,79 | 1,22 | 1,17 |
| 23.00 | 279 | ტვენტე-ვოლენდამი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| 23.00 | 280 | ალკმაარი-ვიტესი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |

4 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 281 | ბრედა-ფეიენოორდი | 3,5 | 3,3 | 1,9 | 1,69 | 1,23 | 1,2 |
| 16.00 | 282 | უტრეხტი-დენ ჰააგი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 17.30 | 283 | აიაქსი-გრონინგენი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ბელგია. I დივიზიონი. XXVIII ტური** | | | | | | | | |
| **3 აპრილი** | | | | | | | | |
| 21.00 | 300 | ანდერლეხტი-მუსკრონი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.00 | 301 | ბევერენი-სტანდარდი | 3,2 | 3,3 | 2,1 | 1,62 | 1,26 | 1,28 |
| 23.00 | 302 | სტ.ტრუიდენი-მონსი | 1,85 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,24 | 1,7 |
| 23.00 | 303 | გენტი-ლიერსი | 2,05 | 3,0 | 3,5 | 1,21 | 1,29 | 1,61 |
| 23.00 | 304 | ანტვერპენი-გენკი | 3,2 | 3,3 | 2,0 | 1,62 | 1,23 | 1,24 |
| 23.00 | 305 | ვესტერლო-ბეერსხოტი | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 23.00 | 306 | ბრიუგე-ლოკერენი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| **4 აპრილი** | | | | | | | | |
| 18.00 | 307 | ლიევი-სერკლი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 18.00 | 308 | ჰეუსდენი-შარლერუა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| **შვეიცარია. ჩელენჯლიგა. გადადებული მატჩები** | | | | | | | | |
| **31 მარტი** | | | | | | | | |
| 22.30 | 346 | შაფჰაუზენი-დელემონი | 1,5 | 3,5 | 5,3 | 1,04 | 1,16 | 2,1 |
| **დანია. I დივიზიონი. XVI ტური** | | | | | | | | |
| **31 მარტი** | | | | | | | | |
| 20.45 | 366 | ფრედერისია-სილკებორგი | 3,3 | 3,5 | 1,85 | 1,69 | 1,18 | 1,21 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **თურქეთი. სუპერლიგა. XXV ტური** | | | | | | | | |
| **31 მარტი** | | | | | | | | |
| 20.00 | 406 | ადანა-გენჩლერბირლიგი | 3,4 | 3,4 | 1,6 | 1,7 | 1,08 | 1,08 |
| **ინგლისი. თასი. 1/2 ფინალი** | | | | | | | | |
| **3 აპრილი** | | | | | | | | |
| 16.00 | 564 | არსენალი-მანჩესტერი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| **4 აპრილი** | | | | | | | | |
| 17.00 | 565 | სანდერლენდი-მილუოლი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| **მჩ შესარჩევი მატჩები** | | | | | | | | |
| **31 მარტი** | | | | | | | | |
| 03.30 | 569 | ურუგვაი-ვენესუელა | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |
| 05.40 | 570 | პარაგვაი-ბრაზილია | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 07.40 | 571 | პერუ-კოლუმბია | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| **ამხანაგური მატჩები** | | | | | | | | |
| **31 მარტი** | | | | | | | | |
| 18.00 | 575 | მოლდოვა-აზერბაიჯანი | 1,5 | 3,5 | 5,6 | 1,04 | 1,18 | 2,15 |
| 19.00 | 577 | მალტა-ფინეთი | 8,0 | 4,0 | 1,35 | 2,66 | 1,15 | 1 |
| 20.00 | 578 | ესტონეთი-ჩრდ.ირლანდია | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 579 | სლოვენია-ლატვია | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 20.00 | 580 | ბულგარეთი-რუსეთი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| 21.00 | 581 | სერბია-ნორვეგია | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,17 | 1,24 | 1,66 |
| 21.00 | 582 | მაკედონია-უკრაინა | 3,1 | 3,1 | 2,15 | 1,55 | 1,26 | 1,26 |
| 22.00 | 585 | ხორვატია-თურქეთი | 2,05 | 3,1 | 3,3 | 1,23 | 1,26 | 1,59 |
| 22.00 | 586 | ალბანეთი-ისლანდია | 2,05 | 3,1 | 3,2 | 1,23 | 1,24 | 1,57 |
| 23.00 | 587 | ლუქსემბურგი-ბოსნია | 9,0 | 5,0 | 1,22 | 3,21 | 1,07 | 1 |
| 23.15 | 588 | საბერძნეთი-შვეიცარია | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 23.15 | 589 | უნგრეთი-უელსი | 2,25 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,26 | 1,49 |
| 23.30 | 590 | გერმანია-ბელგია | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 23.30 | 591 | სლოვაკეთი-ავსტრია | 2,05 | 3,1 | 3,3 | 1,23 | 1,26 | 1,59 |
| 23.30 | 592 | ირლანდია-ჩეხეთი | 2,6 | 3,0 | 2,45 | 1,39 | 1,26 | 1,34 |
| 23.35 | 593 | პოლონეთი-აშშ | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 23.45 | 594 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,41 | 1,24 | 1,35 |
| 23.45 | 595 | შვედეთი-ინგლისი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,36 | 1,25 | 1,36 |
| 24.00 | 596 | შოტლანდია-რუმინეთი | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,47 | 1,26 | 1,32 |
| 00.45 | 597 | ესპანეთი-დანია | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 01.15 | 598 | პორტუგალია-იტალია | 2,35 | 2,9 | 2,9 | 1,29 | 1,29 | 1,45 |
| 04.00 | 599 | იამაიკა-ჰონდურასი | 2,0 | 3,2 | 3,2 | 1,23 | 1,23 | 1,6 |
| 04.00 | 600 | მექსიკა-კოსტა რიკა | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |

# ფორმულა 1. ბაჰრეინი. 4 აპრილი

| 8001 გამარჯვებული | სამეული | ექვსეული | 8002 უსწ. წრე | გამარჯვებული გუნდი |
|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი ------------- 1,8 | 8101 ---------- 1,15 | 8201 --------------- 1,1 | 2,0 | ფერარი -------------------------- 1,3 |
| მონტოია ---------------- 4,0 | 8102 ------------ 1,6 | 8202 --------------- 1,2 | 3,2 | უილიამსი ------------------------ 2,5 |
| რ.შუმახერი ------------ 7,0 | 8103 ------------ 2,1 | 8203 -------------- 1,25 | 5,0 | მაკლარენი ---------------------- 5,6 |
| რაიკონენი -------------- 8,0 | 8104 ------------ 2,3 | 8204 -------------- 1,28 | 7,0 | რენო ------------------------------ 6,0 |
| ბარიკელო -------------- 5,0 | 8105 ------------ 1,9 | 8205 --------------- 1,2 | 3,0 | ბარ -------------------------------- 15,0 |
| ალონსო ---------------- 8,0 | 8106 ------------ 2,3 | 8206 --------------- 1,3 | 8,0 | ტოიოტა ----------------------- 60,0 |
| კულტჰარდი --------- 20,0 | 8107 ------------ 3,5 | 8207 --------------- 1,5 | 10,0 | იაგუარი ------------------------ 54,0 |
| ტრული -------------- 25,0 | 8108 ------------ 4,4 | 8208 --------------- 1,5 | 15,0 | ზაუბერი ----------------------- 50,0 |
| ბატონი --------------- 20,0 | 8109 ------------ 5,0 | 8209 --------------- 1,5 | 15,0 | ჯორდანი ----------------------- 93,0 |
| სატო ----------------- 75,0 | 8110 ---------- 15,0 | 8210 --------------- 2,5 | 50,0 | მინარდი ------------------------ 150,0 |
| პანისი --------------- 100,0 | 8111 ---------- 20,0 | 8211 --------------- 3,0 | 75,0 | |
| უებერი --------------- 75,0 | 8112 ---------- 15,0 | 8212 --------------- 2,0 | 50,0 | |
| და მატა ------------- 150,0 | 8113 ---------- 30,0 | 8213 --------------- 5,0 | 75,0 | |
| ფიზიკელა ----------- 100,0 | 8114 ---------- 25,0 | 8214 --------------- 4,0 | 75,0 | |
| ჰაიდფელდი --------- 150,0 | 8115 ---------- 30,0 | 8215 --------------- 5,0 | 75,0 | |
| მასა ------------------ 100,0 | 8116 ---------- 30,0 | 8216 --------------- 5,0 | 75,0 | |
| კლიენი -------------- 200,0 | 8117 ---------- 50,0 | 8217 --------------- 6,0 | 100,0 | |
| პანტანო ------------ 250,0 | 8118 ---------- 50,0 | 8218 --------------- 6,0 | 100,0 | |
| ბრუნი --------------- 300,0 | 8119 ---------- 75,0 | 8219 -------------- 10,0 | 100,0 | |
| ბაუმგარტნერი ------ 300,0 | 8120 ---------- 75,0 | 8220 -------------- 10,0 | 100,0 | |

# ჩემპიონები და თასის აღება

**9004**
**ესპანეთი (03.04)**

| | |
|---|---|
| რეალი | 1,35 |
| ვალენსია | 2,5 |
| ბარსელონა | 6,5 |
| დეპორტივო | 40,0 |

**9005**
**საფრანგეთი (02.04)**

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,7 |
| ლიონი | 1,7 |
| პსჟ | 8,0 |

**9008**
**ავსტრია (03.04)**

| | |
|---|---|
| აუსტრია | 1,45 |
| გრაცერი | 2,6 |
| რაპიდი | 6,0 |

**9009**
**დანია (03.04)**

| | |
|---|---|
| ბრიონდბიუ | 2,3 |
| კოპენჰაგენი | 2,3 |
| ესბიერგი | 2,5 |

**9010**
**საბერძნეთი (03.04)**

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 1,7 |
| ოლიმპიაკოსი | 1,8 |

**9011**
**უკრაინა (03.04)**

| | |
|---|---|
| შახტარი | 1,45 |
| დინამო | 2,1 |

**9021**
**ჩემპიონთა თასი (06.04)**
**რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს**

| | |
|---|---|
| ინგლისი | 2,15 |
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 2,7 |
| პორტუგალია | 7,0 |
| საფრანგეთი | 17,0 |

**9021**
**ჩემპიონთა თასი (23.03)**

| | |
|---|---|
| მილანი | 2,5 |
| რეალი | 3,0 |
| არსენალი | 3,0 |
| პორტუ | 7,0 |
| ჩელსი | 8,0 |
| ლიონი | 30,0 |
| დეპორტივო | 40,0 |
| მონაკო | 40,0 |

**9024**
**უეფას თასი (25.02)**

| | |
|---|---|
| ვალენსია | 3,3 |
| ინტერი | 4,0 |
| ნიუკასლი | 4,0 |
| სელტიკი | 5,0 |
| მარსელი | 8,0 |
| პსვ | 8,0 |
| ბორდო | 12,0 |
| ვილიარეალი | 12,0 |

**9031**
**NHL (05.04)**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 4,0 |
| დეტროიტი | 4,0 |
| ფილადელფია | 5,0 |
| ტორონტო | 6,0 |
| ნიუ ჯერსი | 7,0 |
| ოტავა | 7,0 |
| ტამპა ბეი | 7,0 |
| ვანკუვერი | 10,0 |
| დალასი | 10,0 |
| სან ხოსე | 10,0 |
| ბოსტონი | 10,0 |
| კალგარი | 25,0 |
| მონრეალი | 25,0 |
| სტ.ლუისი | 30,0 |
| აილენდერსი | 40,0 |
| ნეშვილი | 40,0 |
| ედმონტონი | 40,0 |
| ლოს ანჯელესი | 100,0 |

**9032**
**NBA (15.04)**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 2,0 |
| საკრამენტო | 3,2 |
| სან ანტონიო | 5,0 |
| მინესოტა | 6,0 |
| ინდიანა | 7,0 |
| დეტროიტი | 10,0 |
| დალასი | 12,0 |
| ნიუ ჯერსი | 12,0 |
| ნიუ ორლეანი | 30,0 |
| მემფისი | 40,0 |
| ჰიუსტონი | 50,0 |
| ნიუ იორკი | 75,0 |
| დენვერი | 75,0 |
| მილუოკი | 75,0 |
| ფილადელფია | 100,0 |
| ბოსტონი | 100,0 |
| ტორონტო | 100,0 |
| პორტლენდი | 100,0 |
| მაიამი | 100,0 |
| კლივლენდი | 100,0 |
| იუტა | 100,0 |


თამაზ ოქრუაშვილი

# ვინ შეირჩევა ხორვატიაში?
## დაკაცებული ჭაბუკები დიდების კომპანიაში

*ხვალ ხორვატიულ სისაკში ჭაბუკთა 2005 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გახურდება. ჩვენს ჯგუფში საქართველოსთან ერთად იტალიის, საფრანგეთის, ხორვატიის, ლატვიისა და ფინეთის გუნდები არიან.*

*ქართველებს ტურნირის წინ სრულფასოვანი შეკრება არ გაუვლიათ, თუმც მონაწილეთაგან ერთ-ერთი პირველები ჩაფრინდნენ დათქმულ ადგილას და მთელი ოთხი დღე ჰქონდათ მოსამზადებლად. მეტოქენი, ნუ იტყვით, ძლიერები არიან, თუმც არც ქართველები ჩასულან ხორვატიაში თავჩაქინდრულნი — ჩვენს ნაკრებში ფიბა-ევროპის თასის გუშინწინდელი მომგები მანუჩარ მარკოიშვილია, რომელსაც გვერდს მოსკოვის ცსკა-ს გიორგი ცინცაძე და ამ თასის ფინალში დამარცხებული დიჟონელი ვიქტორ სანიკიძე უმშვენებენ.*

*საქართველოს ნაკრებს პირველი მატჩი ხვალ იტალიასთან ელის. მანამდე კი გუშინ სისაკში ჩვენი ნაკრების მწვრთნელს თამაზ ოქრუაშვილსა და წამყვან მოთამაშეებს გავესაუბრეთ*

— სისაკში მშვიდობიანად ჩამოვედით, აქაურები თბილად შეგვხვდნენ და ნორმალურ პირობებში დაგვაბინავეს — გვითხრა **თამაზ ოქრუაშვილმა** — აქ კიდევ საფრანგეთისა და ხორვატიის გუნდები არიან, დღეს ლატვია ჩამოდის. იტალიასა და ფინეთს ხვალ ელოდებიან.

**— სავარჯიშო დროც სხვებზე მეტი გექნებათ...**

— აქ კი, მაგრამ ჩვენი მეტოქეები კარგა ხნით ადრე შეიკრიბნენ და სერიოზული მოსამზადებელი პერიოდიც გაიარეს. ადრე ჩამოსვლა ადაპტაციისთვისაა კარგი, იმ დარბაზში ვვარჯიშობთ, სადაც მატჩები გაიმართება.

**— ტურნირის დაწყებამდე ამხანაგურ მატჩსაც გეგმავდით ხორვატებთან...**

— სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდა. ხორვატიის ნაკრებს არაერთი ტრავმირებული ჰყავდა და მოგვიბოდიშა, ჯობს ბიჭებს დავასვენებთო.

**— უკვე სრულად შეიკრიბეთ?**

— ყველანი აქ არიან, მანუჩარ მარკოიშვილი და ვიქტორ სანიკიძე წუხელ შემოგვიერთდნენ. ყველა ჯანზეა, რევაზ ათანელიშვილს ფეხი აწუხებდა, თუმც ახლა მწყობრშია.

**— გვაქვს თუ არა ჯგუფიდან გასვლის შანსი, მანდაურები რა პროგნოზს აკეთებენ?**

— შანსი, რა თქმა უნდა, გვაქვს და ყველაფერსაც გავაკეთებთ, ფინალურ ეტაპზე რომ გავიდეთ. აქ ჯერ არავინ საუბრობს ფავორიტებზე, ყველა თამაშების დაწყებას ელოდება.

*მწვრთნელის შემდეგ ჩვენი ნაკრების ერთ-ერთ ლიდერ* ***მანუჩარ მარკოიშვილს*** *ველაპარაკეთ, რომელმაც 28 მარტს თურქულ იზმირში ჭაბუკთა ნაკრებში თანაგუნდელისა და მეგობრის ვიქტორ სანიკიძის „დიჟონის“ ძლევით ფიბა-ევროპის თასი მოიგო*

**— მანუჩარ, გილოცავ თასის მოგებას, კარგადაც გითამაშია...**

— ცუდი ისაა, რომ ჩემი მეგობრები ცოტა დაიჩაგრნენ. ვიქტორ სანიკიძეს და ვახტანგ ნაცვლიშვილსაც გულით უნდოდათ გამარჯვება, თუმც ჩვენ უფრო გაგვიმართლა.

**— ეტყობა, ძალიან მოიწადინეთ, „დიჟონი“ არაა ისეთი გუნდი, ბუნდესლიგის სპონსორგაქცეულმა აუტსაიდერმა მოუგოს...**

— რა თქმა უნდა, ძალიან მოვინდომეთ, რაღაცით მაინც ხომ უნდა დაგვემტკიცებინა, რომ ჩვენც გუნდი ვართ. „მიტელდოიჩერის“ გამარჯვება ნაწილობრივ იმის ბრალიცაა, რომ დიჟონელებს რამდენიმე კალათბურთელი აკლდათ, რომლებიც გუნდს სეზონის მსვლელობისას შეუერთდნენ და ფიბა-ევროპის თასზე თამაშის უფლება არ ჰქონდათ.

**— შენ კარგად ითამაშე, განსაკუთრებით ნახევარფინალში...**

— ბუნდესლიგის ბოლო მატჩებში ხეირიანი ვერაფერი გავაკეთე და გაბრაზებული ვიყავი ჩემს თავზე. თურქეთში კი მთელი მონდომებით ვითამაშე. მიხარია, რომ „მიტელდოიჩერს“ გამარჯვებაში დავეხმარე.

**— დამარცხებულთაგან ვის გამოარჩევდი?**

— ამას კითხვა უნდა? ვატო ნაცვლიშვილს. ის ფინალში საუკეთესო იყო დიჟონელთაგან და მის გუნდს რომ მოეგო, ოთხთა ფინალის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებდნენ.

**— შენ არ გქონდა ამ ტიტულის მოგების შანსი?**

— როგორ არა, ფინალიც რომ ნახევარფინალივით მეთამაშა, მაგრამ ჩემმა ლატვიელმა თანაგუნდელმა მარიუს პეტრავიჩუსმა 28 ქულა ჩააგდო და ფინალის უძვირფასესი ის გახდა.

**— ამ წარმატების შემდეგ ეგებ რამე ეშველოს გაღარიბებულ „მიტელდოიჩერს“...**

— არა მგონია, სპონსორს რომ ფული ჰქონოდა, აქამდეც არ მიგვატოვებდა. ვნახოთ, რა იქნება, როცა გერმანიაში ჩავალ. თუ „მიტელდოიჩერი“ დაშლილი დამხვდა, „ბენეტონში“ დავბრუნდები.

**— წლეულს ველარ დაეხმარები ბენეტონელებს?**

— ვერა, მხოლოდ ვივარჯიშებ გუნდთან ერთად. მერე ალბათ ისიც გაირკვევა, მომავალ სეზონშიც გამანათხოვრებენ თუ „ბენეტონში“ დამტოვებენ.

**— მანდ, ხორვატიაში, რა შანსები აქვს ჩვენს ჭაბუკთა ნაკრებს?**

— უძლიერესი ჯგუფი შეგვხვდა, ყველა ნაკრებს შეუძლია გამსვლელ სამეულში მოხვედრა. ფავორიტი არავინაა, ნაღდად ვერავის მივანიჭებ უპირატესობას, თუმც ალბათ მაინც ფრანგების სხვებზე წინ დაყენება შეიძლება...

**— საფრანგეთს ხომ ლამის მოუგეთ საკვალიფიკაციოზე, მსაჯებმა არ წაგაგებინეს ის მატჩი?**

— ჰო, მაგრამ ფრანგები მას მერე გაძლიერდნენ. ერთად ყოფნა და სპარინგ-მატჩების გამართვა ბევრ რამეს ნიშნავს. ეს საფრანგეთის ნაკრებს არ აკლია.

**— ახლა ალბათ გამალებით ვარჯიშობთ, რათა შეთამაშება მოასწროთ...**

— რა თქმა უნდა, ახლაც საცაა ვარჯიშზე წავალთ. ახლა ყველანი ერთად ვართ, ვემზადებით...

**ვიქტორ სანიკიძე:**

— ფინალში თამაში მინდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მომიწია და ძალიან მეწყინა. ფინალის შემდეგ მწვრთნელი მიხვდა, რომ ძალიან განვიცადე. ეტყობა, ჩემი დამშვიდება უნდოდა და მითხრა, უნდა მეთამაშებინე, გული არ გაიტეხო, შენი დროც მოვაო.

**ირაკლი პერტაია**



მანუჩარ მარკოიშვილი

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 29 მარტი —

**ნიუ იორკი 92:91 პორტლენდი**
ნიუ იორკი: ტომასი (26), მარბერი (23)
პორტლენდი: სტუდემაიერი (20), რენდოლფი (18)
*სტეფანია განაცხადში არ იყო*

**მაიამი 105:96 ჩიკაგო**
მაიამი: კ. ბატლერი (30 ქულა, 13 მოხსნა), ვეიდი (21), ჯონსი (18)
ჩიკაგო: ჰაინრიხი (20), კარი (16)

**ნიუ ჯერსი 80:84 ბოსტონი**
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (24), ჰარისი (18), როჯერსი (16 ქულა, 15 მოხსნა)
ბოსტონი: პირსი (21), დევისი (17), ბლუნტი (16 ქულა, 15 მოხსნა)

**ატლანტა 133:136 მემფისი**
ძირითადი დრო 107:107
ატლანტა: ჯეკსონი (28), სურა (23 ქულა, 13 მოხსნა, 10 პასი), ტერი (23), კროუფორდი (22), კოლიე (19)
მემფისი: პოუზი (38 ქულა, 11 მოხსნა), უილიამსი (22 ქულა, 10 პასი), გასოლი (16), ცაკალიდისი (15)

**სან ანტონიო 101:93 კლივლენდი**
სან ანტონიო: ჯინობილი (21), დანკანი (18)
კლივლენდი: ჯეიმსი (18), ილგაუსკასი (18)

**ჰიუსტონი 88:94 მინესოტა**
ჰიუსტონი: ფრენსისი (17), მობლი (17), ტეილორი (17), მინგი (16), ჯეკსონი (16)
მინესოტა: გარნეტი (27 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი), კასელი (24)

**ფინიქსი 101:95 ვაშინგტონი**
ფინიქსი: მერიონი (21 ქულა, 12 მოხსნა), ჯონსონი (18)
ვაშინგტონი: ჰიუზი (32), არენასი (30)

# ვინმა თავისი გაისროლა
## ნიუ იორკმა გაარტყა

ვინ ბეიკერის მატარებელმა, კარგა ხანია, ჩაიარა. 211-სანტიმეტრიანი მოქნილ ხელფეხტანი მეფარე აგერ რამდენიმე წელია, ბალასტად იქცა, ვინაც უკეთეს შემთხვევაში თამაშს 10 ქულით ასრულებს და სამაგიეროდ წლიურ 11-12 მილიონს იჯიბავს. სწორედ ამხელა კონტრაქტის გამო მოგზაურობდა გუნდიდან გუნდში. ახალ კლუბებს მისი გამოფხიზლების იმედი ჰქონდათ, პირდაპირი მნიშვნელობით, რაკი ბეიკერი ვისკის ბოთლს დაუმეგობრდა, მაგრამ მალე მასზე იგივე აზრი ექმნებოდათ, რაც წინა გუნდებს.

„ნიუ იორკის“ ბოსმა აიზია ტომასმა ამ ორიოდ კვირის წინ აიყვანა, კაცი მაინც ოლიმპიური ჩემპიონია — 2000 წელს სიდნეიში ოქრო მოიპოვა ამერიკის ნაკრებთან ერთად — და წინა ცხოვრებაში ოთხ ოლ სტარშიც უთამაშია, ვინ იცის, რაში და როდის გამოგვადგებაო. ბეიკერს ციდან ვარსკვლავები არც „ნიუ იორკისთვის“ დაუკრეფია, თუმც ეს თამაში კი მოაგებინა „ნიქსს“.

ახლა, როცა „ნიქსს“ პლეი ოფში თამაშის შანსი ისევ გაუჩნდა, ყოველი გამარჯვება მილიონ დოლარად უღირს და „პორტლენდთანაც“ მხოლოდ მოსაგებად გავიდა მოედანზე. დაძაბულ და თანაბარ თამაშში ბოლო სიტყვა სწორედ ბეიკერმა თქვა, ვინაც წუთით გაიხსენა ძველი, ტკბილი დროება და ფარქვეშეთში მარჯვედ დატრიალდა. დამთავრებამდე 38 წამით ადრე, როცა „ნიუ იორკი“ 90:89 იგებდა, ბეიკერმა კაუჭით ჩააგდო პორტლენდელი თეო რეთლიფის გრძელ ხელს ზემოდან და თავისიანები სამი ქულით დააწინაურა. რეთლიფი ლიგაში ყველაზე მარჯვე დამფარებელი კია, თუმცა ბეიკერის დაუფარებელ ბურს ვერ შესწვდა. „პორტლენდი“ დარჩენილი ნახევარი წუთში იქით მიდგა, აქეთ მოდგა, მაგრამ სხვაობა მხოლოდ ორ ქულამდე შეამცირა.

არცთუ შორეულ წარსულში „ნიუ იორკი“ და „მაიამი“ ერთად ქმნიდნენ პლეი ოფების ისტორიას, ახლა კი ისინი ასევე ერთად უბრუნდებიან რამდენიმე წლით მივიწყებულ რეგულარულსშემდგომ ბატალიებს. „მაიამის“ ყველაფერმა პატ რაილიმ მწვრთნელობა პირველ ასისტენტს სტენ ვან განდის გადააბარა, თავად კი მხოლოდ პრეზიდენტის თანამდებობა დაიტოვა და ვან განდიც უმართლებს. უმართლებენ დრაფტში აყვანილი ჯეელებიც. შარშანდელმა ახალბედამ კერონ ბატლერმა გუშინწინ 30 ქულა ჩაუგდო „ჩიკაგოს“, წლევანდელმა დუეინ ვეიდმა ამას 21 მიამატა და „მაიამიმაც“ საჭირო გამარჯვება მოიპოვა ბოლო ასოციაციის 5-6 წლის ყველაზე ცუდ გუნდთან.

აღმოსავლეთის ბოლო საპლეიოფო საგზურებისთვის გრძელ რიგში „ბოსტონ სელტიქსიც“ ჩამდგარა და გუშინწინ გამარჯვება მასაც შეხვდა. „კელტებმა“ ჯეისონ კიდის და კენიონ მარტინის არყოფნაში დრო იხელთეს და ულიდერებოდ დარჩენილ „ნიუ ჯერსის“ გამარჯვება მოპარეს.



REUTERS

„მგლების“ ამბორი: მინესოტელი ლატრელ სპრიუელი და კევინ გარნეტი ჰიუსტონში გამარჯვებას ასე აღნიშნავენ



პარიზი 1900 წელი: რეი იურის ადგილიდან სიგრძეზე ოქროს ნახტომი



სენტ ლუისი 1904 წელი: რეი იური ადგილიდან სიმაღლეზე კიდევ ერთი ოქროს ნახტომისთვის ემზადება

# ფრთაფეხა

ყოველ ოლიმპიურ თამაშებს ერთი ყველაზე გამორჩეული სპორტსმენი ჰყავს. უცნაურია, მაგრამ ამ გმირთაგმირად არასოდეს დაუსახელებიათ ამერიკელი რეი იური, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა ადგილიდან სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, აგრეთვე სამხტომში. რეი იური ამ საქმეში დაუმარცხებელი იყო მთელი თოთხმეტი წლის განმავლობაში. ასე იყო 1900 წელს პარიზში გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც ადგილიდან ხტომებში სამივე პირველობა მოიპოვა. ასე იყო მომდევნო 1904 წლის სენტ-ლუისის ოლიმპიადაზეც, სადაც პარიზული წარმატება გაიმეორა. რეი იურიმ ტრიუმფით გაასრულა შემდგომი, 1908 წლის ლონდონის თამაშებიც, სადაც თავისი ოლიმპიური ნადავლი კიდევ ორი ოქროს მედლით შეავსო და პროგრამაში სამხტომიც რომ დაეტოვებინათ, იქაც უთუოდ ჩემპიონობას მოიპოვებდა.

ამგვარად, რეი იური რვაგზის ოლიმპიური ჩემპიონია. ამგვარი მონაგრით შემდგომში მას მხოლოდ ოთხმა სპორტსმენმა, ფინელმა პაავო ნურმიმ, ამერიკელებმა კარლ ლუისმა, მარკ სპიცმა და საბჭოელმა ლარისა ლატინინამ თითო ოქროს მედლით გაუსწრეს. თუმცა, მათ ამ ოქროს მედლის მარაგის შევსებაში ესტაფეტებში ან გუნდურ პირველობებში მოპოვებული წარმატებებიც გამოიყენეს, რეი იური კი მუდამ მარტო ეწეოდა ჭაპანს. ამასთან, ეს ამერიკელი მსოფლიოს რეკორდებსაც უტევდა და თავისივე მიღწევებს ერთიმეორის მიყოლებით აუმჯობესებდა.

მისმა მსოფლიოს რეკორდებმა დღემდეც მოაღწია, რადგან ადგილიდან ხტომებში შეჯიბრებები აღარ ტარდება. თუმცა, მისი რეკორდების გაუმჯობესებას მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნები დროდადრო ამაოდ ცდილობენ. 1980 წელს ამერიკელმა სიმაღლეზე მხტომელმა დუაიტ სტოუზმა თავისი ლეგენდარული თანამემამულის ერთი რეკორდის გაუმჯობესება სცადა. მან ადგილიდან სიმაღლეზე იურის რეკორდს (1.65 მ.) შეუტია, მაგრამ ამაოდ დაშვრა. თუმცა, ერთი რეკორდი, სიგრძეზე ხტომაში 1936 წელს მაინც გაუმჯობესდა, როცა ამგვარი შეჯიბრებები ჯერ კიდევ ეწყობოდა. მაშინ თბილისელი დიმიტრი იოსელიანი 334 სანტიმეტრზე გადახტა, მაგრამ ეს შედეგი მსოფლიოს რეკორდად არ ჩაითვალა, რადგან საბჭოთა კავშირი მაშინ არც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წევრი იყო და არც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა.

ასე იყო თუ ისე, რეი იური 1937 წელს, 63 წლისა ისე გარდაიცვალა, რომ თავისი მსოფლიოს რეკორდების გაუმჯობესებას ვერ მოესწრო. ასეთი ფენომენალური მიღწევებისა და შესაძლებლობების გამო ამ კაცს მრავალი ზედმეტსახელი შეარქვეს. რაღას არ ადარებდნენ, ერთნი მას ქურციკს უწოდებდნენ, მეორენი კენგურუს, მესამენი ირწმუნებოდნენ ბაყაყივით ხტებაო, მეორენი კი ადამიან-კალიას ეძახდნენ. ზოგმა ადამიანი რეზინა შეარქვა, ზოგმაც ადამიანი — ზამბარა...

მე კი რეი იური... რწყილს მაგონებს. რწყილს ხომ ადგილიდან ხტომებში თავისი ზომა-წონის გათვალისწინებით, ბადალი არ ჰყავს. ირწმუნებიან, ეს იგივეა, ადამიანი ადგილიდან სიგრძეზე 300 მეტრს იქით რომ გადახტეს, ან სიმაღლეზე ერთმანეთზე შემომდგარ ორ თავისუფლების ქანდაკებას გადაევლოსო.

და რაკი შედარებებზეა საუბარი, რეი იური ფეხბურთიან კაცსაც მაგონებს.





რეი იურის მემორიალური დაფა მის გამარჯვებებს გვახსენებს

მთელ ამ ისტორიაში ყველაზე უცნაური ისაა, რომ რეი იურის ბავშვობაში ოლიმპიურ ჩემპიონობასა და მსოფლიოს რეკორდებს კი არა, სამუდამოდ ინვალიდის ეტლს უწინასწარმეტყველებდნენ. მაშინ იგი პოლიომიელიტით დაავადდა და საწოლს მიეჯაჭვა, მაგრამ პატარა რეი ბედს არ შეურიგდა და დადამბლავებული ფეხების ვარჯიში დაიწყო. ჯერ უბრალოდ ფეხზე დადგომა იყო, მერე რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა. თანდათან, ცოტა რომ მოღონიერდა, ადგილიდან ხტომებიც დაიწყო. ახტებოდა გუბეებს, ორმოებს, ყუთებს, ღობეს და ყველაფერს, რასაც იპოვიდა და რაც ელობებოდა, თან წიგნებს ეძალებოდა. მამამისი შვილს ყოველმხრივ ეხმარებოდა და ხელს უწყობდა სწავლაშიც და ვარჯიშშიც. მერე 1890 წელს რეი იური პერდიუს უნივერსიტეტში ჩაირიცხა. იქვე მამამისის ფერმა იყო და რეისაც შორს სიარული არ სჭირდებოდა. ამასობაში რეი ისე გაიზარდა სიმაღლეში, რომ აყლაყუდა გახდა. თხელი და გაჩხიკული 191 სანტიმეტრი სიმაღლისა აიყარა. ამბობდნენ, მავთულს ჰგავსო, მაგრამ ჭიაყელასავით მოქნილი კი იყო. უნივერსიტეტში 7 წელიწადი გაატარა. ფეხბურთსაც თამაშობდა და საუნივერსიტეტო მძლეოსნურ გუნდსაც კაპიტნობდა, სწავლაშიც ფრიად ყოჩაღობდა.

უნივერსიტეტის დამთავრების მერე, 1899 წლიდან ნიუ ჯერსის სანაოსნოში მუშაობდა, გემების მშენებლობაში მექანიკურ სისტემებს ინსპექტირებას უწევდა, თან კალიასავით დახტოდა. მერე იყო პარიზის ოლიმპიური თამაშები და სამი ოქროს მედალი, რომელთაგან ერთი სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიოს რეკორდით მოიგო (165 სმ), თუმცა, რეი აქ უკვე ლეგენდარული სპორტსმენის სახელით ჩავიდა, რადგან 1898 წელს ამერიკის პირველობაში გაიმარჯვა და მსოფლიოს რეკორდებსაც უკვე ფლობდა.

რეი იური თავისი პირველი ოლიმპიურ გამარჯვებებისას 26 წლისა იყო, ბოლოს კი როცა თავისი მეოთხე, 1912 წელს სტოკჰოლმის ოლიმპიადისთვისაც ემზადებოდა, ერთმა თანაგუნდელმა მეგობარმა უთხრა, რეი, 38 წლისა ხარ, სპორტისთვის უკვე ბერდები, დროა ხტუნაობას შეეშვა და დაუმარცხებელი წახვიდეო და რეიმაც თქვა, ჰო, მართალი ხარ, კმარა!

და წავიდა. მასთან ერთად 1912 წლის ოლიმპიადიდან ადგილიდან ხტომებიც წავიდა, მისი რეკორდები კი დარჩა, მათ შორის ოლიმპიური ოქროს მედლების რეკორდული რაოდენობაც.

საქმე ისაა, რომ რეი იურიმ იასპარეზა ათენის 1906 წლის რიგგარეშე თამაშებზე, რომელიც ოლიმპიადების 10 წლოვანი იუბილის აღსანიშნავად ჩატარდა. რეიმ იქ ადგილიდან სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომებში გაიმარჯვა.

თუ ამ თამაშებსაც ოლიმპიადების სათვალავში შევიტანთ, რეი იური ათი ოქროს მედლის მფლობელი გამოდის, რითაც იგი მსოფლიოში ერთადერთ უნიკალურ გამონაკლისად გვევლინება.

ამ მედლებით მთელი ამერიკა ამაყობდა და ჯილდოებს გამოფენებზე დაატარებდა ერთხელაც, 1978 წლის იმ დღეს ჯილდოებს ველარ გაუფრთხილდნენ და სქელი მინის მიღმა გამოფენილი ყველა მედალი მოიპარეს. ორი წლის მერე მხოლოდ ერთიღა იპოვეს — ჰიუსტონში... ავტოსადგომზე.

**ავთანდილ გურასაშვილი**



რეი იურის პარიზული ადგილიდან სიგრძეზე ხტომა



რეი იური თავის ცოლ-შვილთან ერთად

## კრივი

# კრივში განხეთქილებაა

## ტურნირებმა წონები დაინაწილეს

**წუხელ** პოლონეთსა და ბულგარეთში მოკრივეთა ორი საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირი დაიწყო. მათი ჩატარების თარიღები კრივის საერთაშორისო ფედერაციამ სპეციალურად დაამთხვია, რადგან ორივე ცალ-ცალკე კი იმართება, თუმც ერთ სრულყოფილ შეჯიბრს შეადგენს. ვარშავაში ხუთი წონა შეეცდება ოლიმპიადის საგზურის მოგებას, პლოვდივში კი — ექვსი.

საქართველოს ნაკრებიც ორად გაიყო. კახაბერ ჟვანიას, ანატოლი ქავთარაძესა და გიორგი კობახიძეს მთავარი მწვრთნელი თენგიზ მესხაძე დამოძღვრავს, ზვიად ხადურს, ავთანდილ კაშიას, მალხაზ ბერკაცაშვილს, თორნიკე ეველაშვილსა და გაგა ბოლქვაძეს კი ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრების დამრიგებელი ბეჟან ჭიჭინავა.

ტურნირები 4 აპრილამდე გასტანს და ლიცენზიებს მხოლოდ ფინალისტები მიიღებენ. აპრილის ბოლოს დარჩენილ კიდევ ორ პარალელურ ტურნირში (ბაქო და გეტებორგი) კი ექვს წონაში ვერცხლიც აღარ იკმარებს. თუ რომელ წონაში აიწევს ლიცენზიის ფასი, ეს 8 აპრილამდე გაირკვევა. ბერძნებს, როგორც ოლიმპიადის მასპინძლებს, ექვსი სასურველი წონის დასახელება შეუძლიათ, რომლებშიც ლიცენზიებს პირდაპირ მიიღებენ. ჩვენ კი კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა არცთუ დიდი ხნის წინ უკვე მოახერხა ათენის ორი საგზურის მოგება. ხორვატიულ პულაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ნიკოლოზ იზორიამ ვერცხლი მოიპოვა, ხოლო კონსტანტინე კუპატაძემ — ბრინჯაო.

**საქართველოს ნაკრები**

**ვარშავა**

64 კგ — კახაბერ ჟვანია (ფოთი)
75 კგ — ანატოლი ქავთარაძე (ჭიათურა)
91 კგ — გიორგი კობახიძე (ვარიანი)

**პლოვდივი**

48 კგ — ზვიად ხადური (რუსთავი)
60 კგ — ავთანდილ კაშია (ქუთაისი)
69 კგ — მალხაზ ბერკაცაშვილი (ვარიანი)
81 კგ — თორნიკე ეველაშვილი (რუსთავი)
+91 კგ — გაგა ბოლქვაძე (ქუთაისი)

## ჩოგბურთი

# უილიამსები შავ ფინალს გვიმზადებენ



სერენა უილიამსი დაბრუნდა

**NASDAQ-100 OPEN**
მაიამი. მაგარსაფარი.
**კაცები**
საპრიზო 3,45 მილიონი $

**მესამე წრე**

**ენდი როდიკი** (2, აშშ) — იონას ბიორკმანი (26, შვედეთი) 6:4, 3:6, 6:3; **ანდრე აგასი** (4, აშშ) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:2, 6:2; **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) — დომინიკ ჰრბატი (27, სლოვაკეთი) 7:5, 1:6, 6:3; **პარადორნ შრიჩაფანი** (9, ტაილანდი) — ხუან მონაკო (არგენტინა) 1:6, 6:4, 6:4; **ტომი რობრედო** (19, ესპანეთი) — იან ჰერნიჩი (ჩეხეთი) 3:6, 6:3, 7:6 (7:4); **აგუსტინ კალიერი** (20, არგენტინა) — ტოდ რიდი (ავსტრალია) 6:4, 7:6 (7:3); **გილერმო კანიასი** (არგენტინა) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:4, 2:6, 6:3; **ვინს სპედია** (აშშ) — რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) 6:3, 2:6, 7:6 (7:3)

**ქალები**
საპრიზო 3,06 მილიონი $

**სერენა უილიამსი** (1, აშშ) — მარია შარაპოვა (17, რუსეთი) 6:4, 6:3; **ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — ფრანჩესკა სკიავონე (15, იტალია) 6:1, 6:3; **ელენა დემენტიევა** (5, რუსეთი) — ელენა დოკიჩი (12, სერბეთ-ჩერნიგორია) 5:7, 6:1, 6:3; **ნადია პეტროვა** (8, რუსეთი) — ალიშა მოლიკი (24, ავსტრალია) 6:2, 6:1; **ჟილ კრეიბასი** (აშშ) — პაოლა სუარესი (9, არგენტინა) 4:6, 6:4, 7:6 (7:2); **კაროლინა სპრემი** (ხორვატია) — სვეტლანა კუზნეცოვა (10, რუსეთი) 3:6, 7:5, 6:4; **ნატალი დეში** (21, საფრანგეთი) — ხისელა დულკო (აარგენტინა) 6:3, 6:2; **ელენი დანილიდუ** (25, საბერძნეთი) — ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) 7:6 (10:8), 6:1

ტურნირის შარშანდელმა და კიდევ ხუთგზის ჩემპიონმა ანდრე აგასიმ მეოთხე წრეში გასაღწევად გუშინ მხოლოდ 52 წუთი იჩოგნავა — ოყრაყი ბელარუსის მაქს მირნის დასაჩოქებლად ესეც საკმარისი გამოდგა.

დღეს ყველაფერი ალჩუზე დამიჯდაო, ამბობდა ნამატჩევს 34-ს მიტანებული ჯადოკაცი და — რაც დრო გადის, ასეთი იღბლიანი დღეების რაოდენობა სულ უფრო მცირდებაო — ასე დასძენდა.

ისე კი შეგახსენებთ, რომ აგასი სარეკორდო, მეშვიდე მაიამურ ნადავლსა და ჯამში თავის მეჩვიდმეტე მასტერსტიტულზე ნადირობს. წლეულს კი მას ჯერ-ჯერობით არაფერი მოუგია და სამი მარცხის წილ 14 გამარჯვებას მოიძევს.

სხვაფრივ — ადგილობრივ მილეთს გული არც მეორე ნომრად განთესილმა ენდი როდიკმა დასწყვიტა, ვისაც იონას ბიორკმანისთვის სეტის წაუგებლადაც უნდა ეძლია, მეორე სეტში ბითური შეცდომების კორიანტელი რომ დაეყენებინა.

ერთი კვირის შემდეგ აშშ-ის დევისნაკრები ღელრი ბიჩში სადევისმეოთხედფინალოდ სწორედ შვედებს მიიღებს და არ არის გამორიცხული, ენდიბოის კვლავაც მოუხდეს გამოცდილ შვედთან ბუქნაობა. თუმცა დღევანდელი გამარჯვება იმ მატჩში მაინც ვერაფერს მიშველისო, ასე სამართლიანად ბჭობდა ნამატჩევს როდიკი.

ქალთა მხარეზე ისევ ჯუფთად გაივაკეს შავდა უილიამსებმა — სერენამ მარია შარაპოვას აჯობა, ვინუსი კი იტალიელ სკიავონეს მოერია. ჩანს, ხანგრძლივი ტრავმიანობის შემდეგ კორტს მობრუნებული მათი უჩოგნესობანი ნელ-ნელა ეშხში შედიან და რამე სისულელე თუ არ მოხდა, უქმეებზე კაი დაშხოშიან შიდაშავდურ ფინალსაც ჩაგვაკოკლოზინებენ.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS მაიამიდან

ენდი როდიკი

## ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი



ზედახორა „ატლანტას" კარის წინ

# სელიანესგან ისევ ელიან

29 მარტი

**კოლორადო 2:1 ლოს ანჯელესი**
*1:0 0:1 1:0*

რა დრო დადგა, ტეემუ სელიანეს 19-მატჩიანი უგოლობის შეწყვეტაც კი უზომოდ ახარებს. „ფინური ელვა" ერთ დროს მეკ[...]ოქეთა რისხვა იყო. 1992-93 წლებში, თავის სადებიუტო სეზონში, მან ყველა გააოცა, როცა 76 გოლით რეკორდი დაამყარა ახალბედებში...

დღევანდელი გადასახედიდან ეს ციფრები ფანტასტიკურად ჩანს. მართალია, მერე ამდენი აღარ გაუტანია, მაგრამ სელიანე ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იყო და 28 გოლს ქვემოთ არასდროს ჩამოსულა. ამიტომ როდესაც იგი „კოლორადოში" გადავიდა, მისგან ყველა ძველ შედეგს ელოდა, მაგრამ...

„ლოს ანჯელესის" კარში მან სეზონში... მე-15-ედ გაიტანა. უფრო საწყენი კი ის არის, რომ წინა 19 მატჩში სელიანე გოლის გატანას კი არა, პასების გაკეთებასაც ვერ ახერხებდა. თუმც ყველაფერი მთავრდება, კარგიც და ცუდიც. აი, ტეემუს უხიერობაც შეწყდა. გოლი მან თავისი ძველი მეგობრის პოლ კარიას დახმარებით გაიტანა, რომელიც ასევე წლეულს გადავიდა „კოლორადოში", თუმც მეგობარზე ცოტა უფრო უკეთ გამოსვლის საქმე. ამიტომ ისინი ერთ სამეულში აღარ ასპარეზობდნენ, თუმც მწვრთნელებმა ერთხელ კიდევ გამოცადეს ძველი წყვილი და გაუმართლათ. თან სელიანეს გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა. „ლოს ანჯელესს" პლეი ოფში გასვლის იმედი სავსებით გადაეწურა.

**ბუფალო 6:0 კოლუმბუსი**
*2:0 1:0 3:0*

1:0 კალინინი (7), 2:0 როი (9), 3:0 კალინინი (28), 4:0 აფინოგენოვი (43), 5:0 პატრიკი (54), 6:0 ტეილორი (56)

**დეტროიტი 5:3 მინესოტა**
*2:1 2:1 1:1*

1:0 მაკარტი (5), 1:1 ზიუზინი (11), 2:1 ფიშერი (15), 3:1 შენაჰანი (21), 4:1 დევერო (23), 4:2 დეიგლი (26), 4:3 დეიგლი (52), 5:3 დაციუკი (54)

**ტამპა 4:5 ოტავა**
*1:1 0:0 3:3 0:1*

1:0 სტილმანი (13), 1:1 ჰავლატი (20), 1:2 ალფრედსონი (41), 2:2 ბოილი (42), 3:2 ანდრეიჩუკი (57), 3:3 ჰოსა (58), 3:4 ფიშერი (59), 4:4 ანდრეიჩუკი (60), 4:5 ფილიპსი (64)

**ფლორიდა 3:1 კაროლინა**
*1:0 0:0 2:1*

1:0 ჰუსელიუსი (13), 2:0 კალუენი (43), 2:1 სვობოდა (44), 3:1 იოკინენი (60)

**ვანკუვერი 6:1 ფინიქსი**
*0:0 4:0 2:1*

1:0 კუკი (27), 2:0 ნესლუნდი (32), 3:0 დ. სედინი (32), 4:0 სოპელი (39), 5:0 ჩუბაროვი (51), 6:1 კინგი (58), 6:1 ნოვოსელტევი (58)

**ტორონტო 4:2 ატლანტა**
*2:2 0:0 2:0*

0:1 ჰიტლი (5), 0:2 რიბენი (6), 1:2 დომი (14), 2:2 მოგილნი (20), 3:2 რობერტსი (44), 4:2 ანტროპოვი (47)

# მური ალაპარაკდა

## მაგრამ ცუდი არაფერი უთქვამს

**კიდევ იტყვიან,** ორშაბათი ცუდი დღეაო. დენვერში სწორედ ამ დღეს მოხდა სამი სასიხარულო ამბავი. ორზე ზემოთ წაიკითხავდით — სელიანეს ნანატრ გოლსა და „კოლორადოს" მოგებას ვგულისხმობთ — აი, მესამე კი...



REUTERS მაიამიდან

რაც სტივ მურს ის უწვრილეს დეტალებამდე გახმაურებული ინციდენტი შეემთხვა, პირველად გამოვიდა საჯაროდ. მართალია, მას დაშავებულ კისერზე სამაგრები ეკეთა და მარჯვენა თვალის არეში სილურჯეც ეტყობოდა, მაგრამ ჩინებულ ხასიათზე იყო, რითაც ფრიად გაახარა პრესკონფერენციის დამსწრე საზოგადოება.

„ძალიან მიხარია, დღეს აქ რომ ვიმყოფები და თან ჩემი ფეხით მოვედი. ჯერჯერობით არ ვიცი, როდის შევძლებ თამაშს, მაგრამ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი... მიხარია, რომ ცოცხალი ვარ" — გულწრფელად უთხრა მურმა ჟურნალისტებს.

ცხადია, ჰოკეისტი მოერიდა იმ ინციდენტიტზე საუბარს, არც მის გამმეტებელ ტოდ ბერტუცზე დასცდენია სიტყვა. ჟურნალისტებსაც არ შეუწუხებიათ ზედმეტი კითხვებით. ერთი კი თქვა, არ მახსოვს როგორ მოხდა ეს ყველაფერი და ზოგადად დაგმო სისასტიკე.

„ვფიქრობ, ასეთი მოქცევა არ შეიძლება. ამგვარი ინციდენტები მხოლოდ ავნებს ჩვენს ბრწყინვალე თამაშს" — დასძინა მურმა ბოლოს. შემდეგ ჰოკეისტი თავისი გუნდის თამაშსაც დაესწრო. საზოგადოება ოვაციებით შეხვდა მას.

# საკალათბურთო სურათები



REUTERS ჰიუსტონიდან

თელ ავივში იქაური კალათბურთის გულშემატკივრები მიტინგობენ. ესპანური ვალენსიის „პამესამ“ უარი თქვა „მაკაბისთან“ სტუმრობაზე, რა თქმა უნდა, უსაფრთხოების მოსაზრებით. ევროლიგის მენეჯერები ოთხთა ფინალის უფრო მშვიდ ქვეყანაში გამართვას მოითხოვენ, რახან ისრაელში დაძაბული ვითარებაა და პალესტინელი ტერორისტები კბილებს ილესავენ მათი ლიდერის შეიხ აჰმად იასინის მკვლელობის შემდეგ. კალათბურთის უბრალო გულშემატკივრები კი სხვა მოთხოვნებს აფრიალებენ — ოთხთა ფინალი კვლავაც ისრაელში ჩავატაროთო.

ამასობაში კი ყოველგვარი ამგვარი პრობლემის გარეშე მიმდინარეობს ნბა-ს თამაშები და კარგი საქმეა, რომ მოწინაალმდეგენი თავაზიანად იქცევიან: მინესოტელი კევინ გარნეტი და ჰიუსტონელი ჯიმ ჯეკსონი ერთმანეთს წამოდგომაში შველიან.

ნბა უკვდავია, მაგრამ მეტი ვნება ახლა სტუდენტურ მოედნებზეა. სამხრეთული ქალაქი სან ანტონიო სამ აპრილს საუნივერსიტეტო ოთხთა ფინალს უმასპინძლებს. ოთხთაგან ერთი ჯორჯიის ტექნიკური უნივერსიტეტია, რომელმაც სენტ ლუისში კანზასელებს სძლია და შუადასავლეთის ჩემპიონი შეიქნა. ჯორჯიელთა ფორვარდმა კლემენს მურმა სიხარულით ააჭრა ბადე მისვანვე ამოვსებულ კალათს.



REUTERS თელ ავივიდან



REUTERS სენტ ლუისიდან

# კლიჩკოები ამერიკის საცემრად

ლოს ანჯელესში არიან და „ლაბრეას“ დარბაზში ვარჯიშობენ ძმები ვიტალი (მარცხნივ) და ვლადიმირ კლიჩკოები. ორივე დიდი და საჩემპიონო კრივის მოლოდინშია. ვლადიმირი ლემონ ბრუსტერს უნდა ეკრივოს ორგანიზაციის ჩემპიონისთვის 20 აპრილს, ვიტალი კი საბჭოს ჩემპიონისთვის კორი სანდერსს იმავე თვის 24 რიცხვში. პირველი ლას ვეგასში იკრივებს, მეორე ლოს ანჯელესში.



REUTERS ლოს ანჯელესიდან


REUTERS ტოკიოდან

# ყნოსვა ტოკიოში

ტოკიოში ტრადიციულად იხსნება ამერიკის მეიჯორ ლიგ ბეისბოლის სეზონი. იქაურ „დოუმში“ ერთმანეთს ნიუიორკელი „იანკები“ და ტამპაბეელი „ეშმაკთა მეფენი“ შეხვდებიან. პირველ ბურთს თვით იაპონიის პრემიერი იანუსირო კოიძუმი გასტყორცნის. საფეთქებელზე დაგეშილი ძაღლები კი „დოუმის“ ტრიბუნებს ამოწმებენ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge